ალექსანდრე პოტიომკინი
(თარგმანი მაყვალა გონაშვილის)

მაგიდა

თანამედროვე ფანტასმაგორია
ორ მოქმედებად

თბილისი 2022

მოქმედი პირები:

არკადი ლვოვიჩ დულჩიკოვი - საგადასახადო სამმართველოს ჩინოვნიკი

ლუბა პოპიშევა - მისი მდივანი

მახახორინი - საქმიანი ადამიანი

ვადბოლსკი - საქმიანი ადამიანი

პოდხოლუზინი - საქმიანი ადამიანი

მამედოვი - კომერსანტი

ტრეშჩალოვი - კრიმინალი

კუზიაკინი - მნახველი

კურაკინა - მნახველი

მიტკა - ჩინოვნიკის მძღოლი

სენატორი -

კლეშივცევი - უმცროსი

კლეშივცევი - უფროსი

დუსკა - ქალად გარდაქმნილი ჩინოვნიკის მაგიდა

პირველი მოქმედება

რუსეთის ძალიან მნიშვნელოვანი საგადასახადო სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსის კაბინეტი. ყველაფერი სოლიდური და ხარისხიანია, განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურება მასიური მუხის მაგიდა. შეიძლება იფიქრო, რომ თავდაპირველად ეს მაგიდა დაიდგა და შემდეგ დააშენეს კაბინეტი. მაგიდაზე მკაცრი წესრიგია. ლარნაკში თეთრი ვარდების თაიგულია. წარმოდგენის მსვლელობისას ზოგჯერ სინათლის შუქით გამოიკვეთება ჩინოვნიკის დასასვენებელი აპარტამენტი.

კაბინეტის კარი იღება. შემოდის მისი მეპატრონე, არკადი ლვოვიჩ დულჩიკოვი, გენერლის სამხრეებიანი საუწყებო კიტელით. გენერალი ჯდება მაგიდასთან და მოულოდნელად უცნაურად იქცევა, ხმადაბლა წარმოსთქვამს: - „ხელთ გეპყრას მაგიდის ღირსება!“ და თავად ამ მაგიდას ეხვევა და მგრძნობიარედ კოცნის, შეიძლება ითქვას, ვნებიანად. შემდეგ იღებს ყურმილს და პირდაპირი ხაზით უკავშირდება მდივანს.

დულჩიკოვი - ლუბოვ ლეონიდოვნა, მე ვიწყებ მიღებას.

ლუბა - და შეიძლება, ერთი წუთით შემოვიდე?

დულჩიკოვი - შემო.

კაბინეტში შემოდის მდივანი ლუბა, მაღალი, ეფექტური, ქერა, არაუმეტეს 23 წლისა. უახლოვდება დულჩიკოვს, მსუბუქად, სათუთად ეხება თითებით, მკერდით მიცურავს მამაკაცის მხრისკენ.

ლუბა - იქნებ, ახლა... ცოტა განტვირთვა არ გაწყენდათ, ლვოვიჩ.

დულჩიკოვი - ჯერ პირველი მომსვლელი გავუშვათ... და მერე - შესვენება ერთი საათით. მთავრობასთან სატელეფონო საუბრებიც გაითვალისწინე... გასაგებია?

ლუბა - გასაგებია, ლვოვიჩ.

მდივანი იღიმება, ენას უჩვენებს, დულჩიკოვს იდაყვზე ხელს უჭერს.

დულჩიკოვი - ვინ არის ჩვენთან პირველი, ლუბაშა?

ლუბა - ბატონი მახახორინი.

დულჩიკოვი - მახახორინი... ეს საინტერესოა, დაუძახე!

ლუბა გადის კაბინეტიდან.

დულჩიკოვი - ოჰ, კინაღამ დამავიწყდა, სასმენი ხომ უნდა მოვხსნა.

დულჩიკოვი ძლივს ასწრებს მაგიდის ქვეშ სასმენ ღილაკზე ხელის დაჭერას, რომ კარის ზღურბლთან მახახორინი გამოჩნდება.

მახახორინი - მოგესალმებით, ძვირფასო არკადი ლვოვიჩ! მინდა გადმოგცეთ საუკეთესო სურვილები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ყველა წევრისგან. თქვენ მართლმადიდებელი ხართ? ვხედავ, რომ მორწმუნე ბრძანდებით. თქვენნაირი პიროვნებები სჭირდება ქრისტიანულ სარწმუნოებას... დაგირეკეს ზევიდან ჩემი ვიზიტის შესახებ?

დულჩიკოვი - საიდან ზევიდან?

მახახორინი - სულ... სულ ზემოდან!

დულჩიკოვი - ვერ ვიხსენებ. მაპატიეთ, რა გვარი ბრძანდებით?

მახახორინი - ვერ მიცანით?

დულჩიკოვი - ჯერ ვერა.

მახახორინი - მე ხომ სემიონ სემიონოვიჩ მახახორინი ვარ! მოსტიისკის ქარხნიდან. დირექტორი. საწყენია. ვერ იცნო მახახორინი... მე ხომ თქვენი შეფის მეგობარი ვარ!

დულჩიკოვი - მაპატიეთ, ვისი?

მახახორინი - მინისტრის.

დულჩიკოვი - მინისტრის? ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. რით შემიძლია დავეხმარო ასეთ სიმპათიურ ადამიანს?

მახახორინი - თქვენ, ცხადია, მოგეხსენებათ, როგორი წარმოუდგენელი შრომის ფასად ხდება რუსეთის ეკლესიის აღდგენა. რამდენი ეკლესია განადგურდა წინა რეჟიმის წყალობით, რა რაოდენობის მღვდელი აწამეს სატანის მოციქულებმა, მაგრამ სად უნდა ვიშოვოთ თანხები სალოცავების აღსადგენად? არადა ყოველდღიურად უნდა ვაწარმოოთ ყველაფერი, რაც საეკლესიო ცხოვრებისთვისაა საჭირო: სადღესასწაულო კალენდრები, სანთლები, ხატები, სამოსელი, ბარძიმი, საკმეველი, ჯვრები და ასე შემდეგ. ამისთვის, არკადი ლვოვიჩ, უზარმაზარი კაპიტალია საჭირო დღეისთვის, ასეთი ფართო ასორტიმენტის წარმოებისთვის, თანხაც მნიშნელოვანია და ღვთისნიერ ადამიანებთან კავშირებიც. ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ რუსი ადამიანის არსებაში კვლავ სუფევდეს ქრისტეს სული... ბოლო დროს ეკლესიამ თქვენს უწყებას სთხოვა დამატებითი ღირებულებების გადასახადისგან განთავისუფლება და შეგვეწია ღმერთი. დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ბატონმა ნავრაისკიმ მოგვიხსნა დღგ.

გავცოცხლდით! ქორაკანდელებმა და სანთლებმა, ჭაღებმა და სპილენძის შანდლებმა გაანათეს ტაძრები. ახალი ძლევამოსილებით აჟღერდა უფლის სიტყვა. ახლა კი - ახალი პრობლემაა. ის არ აძლევს წმინდა სინოდსა და მთელ მართლმადიდებელ ქრისტიანებს სიმშვიდესა და სულიერ მადლს. ჩვენ გვართმევენ მთავარ სიმბოლოს, ჩვენი რწმენის უპირველეს ნიშანს - ჯვარს.

დულჩიკოვი - ეს როგორ? ღმერთო, დაგვიფარე! რა არის რწმენა ჯვრის გარეშე, აღდგომის ხატის გარეშე? ნუთუ ჩვენმა ჩინოვნიკებმა გადასახადი ან ლიცენზია შემოიღეს? აქ, გეთაყვა, დაყოვნება დაუშვებელია! დაე, თქვენმა მთლად უფროსმა პრეზიდენტს წერილობით მიმართოს. ეს რა წესები შემოაქვს ამ ბატონ მრეფს? ჯვარზე გადასახადი? აქ კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ! თქვენ ჩვენს ორგანიზაციაზე გაქვთ განცხადება თუ პირადად ჩემს სახელზე?

მახახორინი - ო, ჩქარობთ, პატივცემულო! აქ ჯერ კიდევ დაფიქრებაა საჭირო, რა და როგორ დავწეროთ! ეს იოლი საქმე როდია. ჯერ საკითხი გადაწყვეტას ითხოვს, აი, წერილი კი შემდეგ უნდა მომზადდეს. ან იქნებ ვცდები?

დულჩიკოვი - შემიწყალეთ, ისე მიამბეთ, როგორც არის, თორემ თქვენი ვერაფერი გავიგე. თქვით, რისი გადაწყვეტაა საჭირო.

მახახორინი - უნდა მოეხსნას აქციზი. ეს თქვენ უწყებას ეხება.

დულჩიკოვი - რა აქციზი უნდა მოეხსნას? ჯვრები აქციზური მასალისგან ხომ არ მზადდება! კალის, სპილენძის, ალუმინის... რისი თქმა გსურთ? მოეხსნას აქციზი ოქროს?... ვერცხლს?

მახახორინი - დიახ, სწორედაც ასეა.

დულჩიკოვი - ეს როგორ შეიძლება? ოქროს ჯვრებს მარტო მართლმადიდებლური ეკლესიის ქარხანა ხომ არ ამზადებს. ქვეყნის ყველა საიუველირო სახელოსნო ამ ბიზნესითაა დაკავებული. ამაზე ყოველწლიურად ათი ტონა ოქრო და ოცი ტონა ვერცხლი იხარჯება. მხოლოდ ოქროს ჯვრებისგან ამონაგები ორმოცდახუთი მილიონი დოლარია, ხოლო მისი აქციზის გადასახადი კი დაახლოებით სამი მილიონი დოლარი იქნება წელიწადში. ვინ დაუშვებს ასე უბოდიშოდ, მოურიდებლად გაძარცვონ ქვეყანა?

მახახორინი - მოდით, მოვილაპარაკოთ, არკადი ლვოვიჩ, ჭკვიანი კაცი ბრძანდებით და ჯერ ის გაიგეთ, როგორი იქნება შემოთავაზება.

დულჩიკოვი - ჩემს წინაშე კანონია. რა ვარიანტები შეიძლება მასში აისახოს? თქვენ იმყოფებით სახელმწიფო დაწესებულებაში. კრემლის ადმინისტრაციიდან ხუთასი მეტრის დაშორებით.

მახახორინი - მე მაქვს შემოთავაზება. შეიძლება, მოგახსენოთ?

დულჩიკოვი - ილაპარაკეთ!

მახახორინი - ვერავინ გაიგებს?

დულჩიკოვი - ჩემს გარდა აქ არვინაა.

მახახორინი - საუბარია ხუთ ტონა ოქროზე.

დულჩიკოვი - კარგი, მერე რა?

მახახორინი - მე მჭირდება აქციზის მოხსნა ხუთ ტონა ოქროზე.

დულჩიკოვი - თამამი ნათქვამია! გინდათ საბიუჯეტო თანხიდან ორი მილიონი დოლარი ჩაიჯიბოთ?

მახახორინი - ჩავიჯიბოთ? ეკლესია გთხოვთ დახმარებას, რათა მრევლს მთავრობისადმი სიძულვილის გრძნობა არ გაუჩნდეს. ასეა... მით უმეტეს რუსეთში ავსული დაძრწის!

დულჩიკოვი - მისმინეთ, მე ჩინოვნიკი გახლავართ. მრევლის განცდები მე არ მაინტერესებს. სამსახურში ჩემი ბიბლია - კანონია.

მახახორინი - ათი ტონა ოქროსთვის ორმოცდაათიათას დოლარს ვიძლევით. ეს ოქრო აქციზისგან უნდა გავათავისუფლოთ.

დულჩიკოვი - თქვენ ფაქტიურად სულ ახლახანს ხუთზე საუბრობდით... მაგრამ მე ეს საკითხი სულ არ მაინტერესებს.

მახახორინი - აქციზს თქვენ ხომ არ ხსნით? თქვენ მხოლოდ დოკუმენტების პაკეტს ამზადებთ მთავრობისთვის. ძირითადი ხარჯები სწორედ იქ გველოდება.

დულჩიკოვი - სემიონ სემიონოვიჩ! თქვენმა წინადადებამ არ დამაინტერესა. ცუდი სუნი უდის.

მახახორინი - ჩვენი ქარხანა - ესაა სუბიექტი შიდასაეკლესიო წარმოებისა. ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, რაც საშუალებას აძლევს მას წარმოება საკუთარი საჭიროებისათვის ჰქონდეს. ჩვენთვის ოქრო მასალაა, რომელიც დღესასწაულებზე ჩვენი მრევლის ღარიბულ ყოფას ალამაზებს. რატომ უნდა იარონ მორწმუნეებმა საიუველირო მაღაზიებში? დაე, ჩვენთან შეიძინონ საეკლესიო ნივთები იაფად! აქციზის გარეშე! თანაც, ყველაფერი ეკლესიის მსახურთაგან ნაკურთხი. რელიგიასაც ხომ სჭირდება კაპიტალი, ძვირფასო არკადი ლვოვიჩ? როგორ აღვადგინოთ ქრისტიანული ტაძრები? რომელი წყაროებით დავაფინანსოთ რესტავრატორები, ქვითხურონი, ხატმწერები? თუ თქვენ პირადად დაიწყებთ ამ ჰუმანიტარულ პროექტს, ჩვენ შეგვიძლია ასი ათასი დოლარი გადაგიხადოთ, ერთბაშად, წინასწარ, თუ მოისურვებთ ხელზე, თუ გნებავთ, ნებისმიერ მისამართზე.

დულჩიკოვი - ოჰ, სემიონ სემიონოვიჩ, ძნელია ჩემი ცდუნება! ეს ფუჭი საქმეა. გეყოფათ. ამ მაგიდის ღირსებას მე არაფერში გავცვლი. მე თხემით-ტერფამდე სახელმწიფო მოხელე ვარ. ყოველივე, რაც ქვეყნისათვის საზიანოა, ჩემს

გულში მწარე ტკივილს ბადებს. გამომთიშეთ თამაშიდან და თავად იმოქმედეთ. ჩვენი სამინისტრო დიდია. თუ იქნება პირდაპირი მითითება ზემოდან, მე დაბრკოლებებს არ შეგიქმნით. პრობლემის გარეშე მოგცემთ დასტურს. იფიქრეთ, მე არ გაჩქარებთ.

მახახორინი - რა არის აქ საფიქრალი? სჯობია თქვენთან დავიჭირო საქმე, ვიდრე მინისტრთა ბარიერები გადავლახო. გაძლევთ 150 ათასს. დავიწყოთ, ჩვენო ძვირფასო ადამიანო, საქმე. ხელი გამომიწოდეთ, გენერალო! ნუთუ თქვენ თავად გსურთ ზემოთ გამგზავნოთ, რომ პრემია სხვა მაგიდაზე დარჩეს?

დულჩიკოვი - თქვენ ვერ დამარწმუნეთ, ძვირფასო. მოსაცდელში ხალხი გროვდება. შეგიძლიათ იჩივლოთ, რომ მესამე რანგის სახელმწიფო მრჩეველი, დულჩიკოვი უპატივცემულოდ მოექცა წმინდა სინოდს, რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას, ქარხნის დირექტორს და ა. შ... შეგიძლიათ მომხსნათ კიდეც, წამართვათ ეს მაგიდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის სიცოცხლის საყრდენია, მე მაგიდის გარეშე ის ვარ, როგორც სხვა ოჯახის გარეშე, სამშობლოს გარეშე... დიახ, ასეა! თქვენთან ხუმრობამ გამახალისა, სემიონ სემიონოვიჩ, თუ სხვა კითხვა დაგებადებათ...

მახახორინი - ერთი წუთით მოიცადეთ, გთხოვთ! მე ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. მთავარი არგუმენტი ბოლო წუთისთვის შემოვინახე. ნება მომეცით, სიმამაცე მოვიკრიბო. ამ საკითხში გამბედაობაა საჭირო, განსაკუთრებული... მოგართმევთ ორასორმოცდაათათას დოლარს ნებართვის სრული პაკეტისთვის.

მცირე პაუზის შემდეგ დულჩიკოვი დგება. გაივლ-გამოივლის კაბინეტში, სარკმლიდან გადაჰყურებს მაროსეისკს და თავის თავს ჩუმად ელაპარაკება: „ვთქვათ და ხანძარი გაჩნდა ოფისში, აქედან როგორ უნდა გადახტე? მეოთხე სართულია. ძვლებსაც ვერ მოხვეტავენ და გაქცევა რომ დამჭირდეს?“

მახახორინი - რამე თქვით?

დულჩიკოვი - არა, ეს ისე... მე მოვამზადებ დოკუმენტებს მხოლოდ ჩემი უწყებიდან. შევადგენ წერილის ტექსტს ჩვენი პირველი მაგიდის სახელზე. ის ხელმოწერილი იქ უნდა იყოს თქვენი პირველი მაგიდისგან. მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაში მე არ ვერევი. მხოლოდ პრემიის სრული გადახდის შემდეგ შევუდგები საქმეს.

მახახორინი - შესანიშნავია! ბრწყინვალეა! სად გადმოგცეთ პრემია?

დულჩიკოვი - როდის?

მახახორინი - რატომ უნდა გადავდოთ ეს სასიამოვნო მოვლენა? სადილის დროს უკვე მზად ვიქნები.

დულჩიკოვი - ბანკი „რუბინი“ სივცევის ვრაჟკაზე, იკითხეთ ბრიდჩიკოვი. ის გადახედავს კუპიურებს და დააწყობს სეიფში.

მახახორინი - საქმე რომ მოგვარდება, შეგატყობინოთ?

დულჩიკოვი - არ შეწუხდეთ. მე თავად მივიღებ შეტყობინებას საკრედიტო დაწესებულებიდან. თუ დღეს ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ხვალ დავიწყებთ თქვენი საქმის მომზადებას. მობრძანდით, პატივცემულო, დილის 11 საათზე.

მახახორინი - მალე შეხვედრამდე!

მახახორინი გადის კაბინეტიდან.

დულჩიკოვი - რთული ტიპია. ყურადღებით უნდა ვიყო. ის თუ დღეს ბრიდჩიკოვთან არ მოხვდება - ვშიშობ, რამე მზაკვრული გეგმა არ ჰქონდეს. ინფორმაცია მივიღე, მართლაც აქვს კავშირები და ძირს მითხრის. მოინდომა ჩემს მაგიდასთან თავისი კაცი დასვას. რამე უნდა მოვიფიქრო. დაძაბულობაში უნდა მყავდეს... დაძაბულობაში...

აქ ბატონი დულჩიკოვი მაგიდას ორივე ხელით ეხვევა, ეწებება მას მუხლებით, ფეხსაცმლით ეხება მის კუთხეს და იწყებს გულმხურვალედ, ვნებით კოცნას ისე, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ეს მაგიდა ჩინოვნიკში ნამდვილ სექსუალურ გრძნობებს იწვევს.

მდივნის ხმა (პირდაპირი კავშირით) - თქვენთან, არკადი ლვოვიჩ, ბატონი ვადბოლსკია.

დულჩიკოვი - დიახ.

ოთახში შემოდის ვადბოლსკი.

ვადბოლსკი - გამარჯობა. გმადლობთ, რომ გამონახეთ დრო ჩემს მისაღებად და მოსასმენად.

დულჩიკოვი - მაშ ასე, რითი შემიძლია გემსახუროთ? მესაუბრეთ, გეთაყვა, კონკრეტულ თემაზე. ჩემი რანგის ჩინოვნიკს არასდროს აქვს დრო. გთხოვთ, მითხრათ, რაში მდგომარეობს პრობლემის არსი, ან წარმოადგინოთ განცხადება.

ვადბოლსკი - მე ბატონ სლუზოვისგან ვარ.

დულჩიკოვი - ეგ რომელი სლუზოვისგან?

ვადბოლსკი - გენერალური პრო-კუ-რა-ტუ-რი-დან.

დულჩიკოვი - ა, დიახ, მახსოვს, პატივს ვცემ! დაბრძანდით, გისმენთ.

ვადბოლსკი - მოსკოვის სათავადაზნაურო საკრებულოში კრიზისი შეიქმნა. უფრო სწორად ის უკვე არაერთი წელია გრძელდება. სავარაუდოდ, თავადმა ნარიცინმა დიდი თანხა მიითვისა, ჩვენი რეზინდენციის კომერციული ამონაგების გამოყენებით, რისი დაჯერებაც მე არაფრით არ მსურს. ცნობილი გახდა, რომ იანვრის დასაწყისში თქვენ შესამოწმებლად გამოგვიგზავნით აუდიტს. სათავადაზნაურო საკრებულოს ნაწილი ნარიცინს უჭერს მხარს, მეორე ნაწილი კი - ბაშმაკოვს. გრაფმა სლუზოვმა მირჩია, დახმარება გთხოვოთ, თქვენი ჩინოვნიკები რომ ამ საქმეს დელიკატურად, სიფრთხილით მიუდგნენ. თავადი ნარიცინი გულის უკმარისობას უჩივის, ხომ არ უნდა შეეწიროს ამ საქმეს ჩვენი წინამძღოლი.

დულჩიკოვი - და გრაფი სლუზოვი ვინ არის, პროკურორის ძმა?

ვადბოლსკი - არა, არა, პროკურორი სლუზოვი თავად არის გრაფი.

დულჩიკოვი - უცნაურია. რუსი ჩინოვნიკების დოსიეში ნათქვამია, რომ სლუზოვი გლეხია.

ვადბოლსკი - შეიძლება, კომუნისტებმა წაგვართვეს არა მარტო საკუთრება, არამედ წარმომავლობაც.

დულჩიკოვი - თქვენც თავადაზნაურთა წრიდან ხართ?

ვადბოლსკი - დიახ, დიახ, ვადბოლსკები რუსეთის უძველესი სამთავრო ოჯახია. შეიძლება დავამატო კიდევ ორიოდ სიტყვა?

დულჩიკოვი - ბრძანეთ, მაგრამ არისტოკრატიული ოჯახების გენეალოგია არ მაინტერესებს.

ვადბოლსკი - მიგიხვდით, მაშინ თავს არ მოგაბეზრებთ... თქვენ თავად არ გსურთ მიიღოთ გრაფის ან თავადის ტიტული?

დულჩიკოვი - ეს შესაძლებელია ჩემი გვარით?

ვადბოლსკი - რატომაც არა. დულჩიკოვი... რითი არიან დულჩიკოვები დაშკოვებზე ნაკლებნი, ვორონცოვებზე, ლოპუხინებზე, ჩერნიშევებზე? ბოდიშს მოვიხდი... დაგვეხმარეთ და თქვენი სახელი სულ სხვაგვარად აჟღერდება: მესამე რანგის სახელმწიფო მრჩეველი თავადი არკადი ლვოვიჩ დულჩიკოვი... ხომ უკეთესია?

დულჩიკოვი - და რატომ არ გახდა სლუზოვი თავადი?

ვადბოლსკი - მან თავად ისურვა ყოფილიყო გრაფი.

დულჩიკოვი - ა, გასაგებია!

მაგიდის უფროსი დგება, გაივლ-გამოივლის კაბინეტში და ისევ სარკმლიდან მაროსეიკს გადახედავს. ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკებს: „აქ როგორ უნდა გადახტე ხანძრის დროს? გადარჩენის შანსი ძალიან ცოტაა. ან დაიწვები ან კვამლი დაგახრჩობს... და მაგიდა? როგორ უნდა გადაარჩინო ხანძრის შემთხვევაში?

ვადბოლსკი - უკაცრავად, ვერ გავიგე.

დულჩიკოვი - მე ვამბობ, ვინ უფრო მნიშვნელოვანია, თავადი თუ გრაფი?

ვადბოლსკი - ვისაც მეტი ფული და კავშირები აქვს.

დულჩიკოვი - ა, დიახ, რა თქმა უნდა.

ამ **დროს რეკავს შიდა ტელეფონი. დულჩიკოვი იღებს ყურმილს და ლუბაშას ხმა ესმის: თქვენთან მიღებაზე ცნობილი პიროვნებაა. ნებას მომცემთ, მოგახსენოთ? ეს საჩქაროა“.**

დულჩიკოვი - შემოდი!

კარებში მდივანი გამოჩნდება.

ლუბა - დეპუტატი გეწვიათ.

დულჩიკოვი - ეს კიდევ რომელი ორატორია მოხალისეთა რიგებიდან, რომელი მოწვევის დეპუტატი? ზოგიერთ მათგანს ვადა უკვე გაუვიდა, სხვების კი ჯერ არც დაწყებულა.

ლუბა - ის მარადიულია. მე ბავშვობიდან მახსოვს.

დულჩიკოვი - რა გვარია?

ლუბა - პოდხოლუზინი.

დულჩიკოვი - პოდხოლუზინი? სასწრაფოდ მოიწვიე. მეგობარო ვადბოლსკი, დამელოდეთ მისაღებში, როგორც კი ჩვენი დუმის ცნობილ პიროვნებას მოვემსახურები, მაშინვე გიხმობთ, ხომ იცით, დეპუტატები სამართლიანი ხალხია, მაგრამ ჭირვეულები.

კაბინეტიდან გამოსვლისას ვადბოლსკი პოდხოლუზინს შეეჩეხება, რომელმაც თითქოსდა გადადგა ვადბოლსკი გვერდზე.

პოდხოლუზინი - უფროსს სალამი! აქ სად შეიძლება ჩამოვჯდე? შენი უწყების ჩინოვნიკები ისეთი მკაცრები გახდნენ, ნებართვის გარეშე მეშინია სკამის არჩევა - ხა,ხა,ხა!

დულჩიკოვი - რას ბრძანებთ?! სიხარულით მსურს ვემსახურო თქვენს აღმატებულებას! რა საკითხის გადასაწყვეტად გვეწვიეთ, ღრმად პატივცემულო? მთელი არსებით გისმენთ.

პოდხოლუზინი - მომისმინე, გენერალო! თქვენმა ხალხმა ბარგუზინსკის ხის გადამამუშავებელ კომბინატში შეაღწია. ეს შეცდომაა, უხეში შეცდომა! გასულ კვირას მთელმა კოლექტივმა ჩვენს პარტიას ერთსულოვნად მისცა ხმა. შენ კი სწორედ ახლა სჯი. იქნებ შენ ჩვენიანი არც ხარ?

დულჩიკოვი - არა, რას ამბობთ, ასი პროცენტით თქვენი მომხრე ვარ. მე ჩრდილო-დასავლეთის რაიონის პარტიის აქტივისტებში შევდივარ. ყველა ჩვენს მომხმარებელს დაევალა, ხმა მხოლოდ ჩვენი იდეებისთვის მიეცათ!

პოდხოლუზინი - და რატომღა ახრჩობ პერიფერიული პარტიის მეგობრებს? რა, ძნელია სხვების გამონახვა? იქნებ სათვალე შევუკვეთოთ შენთვის? პენსნე გაჩუქოთ? დურბინდი? არასაიმედო იურიდიულ ფელდიეგერის პირთა სია გამოგიგზავნოთ?

დულჩიკოვი - იქ მნიშვნელოვანი დარღვევებია.

პოდხოლუზინი - შენ ისევ შენსას აწვები? ისევ ვერაფერი შეისმინე? ვერ ხედავ, მე თავად გეწვიე. მე შენს ზღურბლს გადმოვაბიჯე. აქ ვარ, შენთან...

დულჩიკოვი - გავიგე! დარღვევებმა უკვე იკლო. შემოწმების მერე კი, იმედი მაქვს, ცოდვები მთლიანად გაქრება.

პოდხოლუზინი - ასე ჯობია. მაგრამ სანამ რამეს იტყვი, უმჯობესია დაფიქრდე. რას ჰქვია, იმედი გაქვს? შენგან ზუსტ პასუხს ვითხოვ. იმედი აქვთ შეყვატებულებს საცეკვაო მოედანზე, აქ სიმტკიცეა საჭირო, ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე უნდა მომცე სიტყვა!

დულჩიკოვი - მაპატიეთ, ყველაფერი კარგად იქნება. ბარგუზინსკის ხის გადამამუშავებელი კომბინატი კანონმორჩილი ფირმაა. იქ არანაირ დარღვევებს ადგილი არ ექნება. ამიტომაც ვერ აღმოაჩენენ. ხომ შეუძლებელია, იპოვო ის, რაც არ არის და არც ოდესმე ყოფილა.

პოდხოლუზინი - გონიერი კაცი აღმოჩნდი, გენერალო, პარტიული ხაზით წინ წაგწიოთ? ჭკვიანი, ენერგიული ხალხი ყოველთვის საჭიროა. რას ისურვებ? გინდა, ჩრდილო-დასავლეთის რაიონის ხელმძღვანელი გახდე?

დულჩიკოვი - დიდი მადლობა! თქვენი სიკეთით სავსე მაქვს გული. მთავრობაში ჩვენ კურირებას გვიწევს ბატონი სანტაპუკინი. იმისთვის, რომ ბარგუზინსკის კომბინატის საქმე სრულად დავხუროთ და მომავალშიც დავიცვათ ჩინოვნიკებისგან, მე მფარველი მჭირდება, იქ, ზემოთ! ეს კი დეფიციტია! აქ შეიძლება კაცი ისეთ გაურკვევლობაში მოხვდეს, რომ ბევრს არც მოელანდება.

მაგალითად, მინისტრის, ბატონი არიპოვის ძლიერი გუნდი რუსეთის ყველა ხის გადამამუშავებელ კომბინატს აკონტროლებს. მტერსაც არ ვუსურვებ მის ყბაში მოხვედრას. ხომ გესმით ჩემი? საშიშროება დიდია. მითხარით, გჭირდებათ ისეთი ადამიანი, როგორიც მე ვარ? პირველივე ნიშანზე თქვენთან რომ გაჩნდება, დასახმარებლად, თქვენი ინტერესების დამცველი, თქვენი ერთგული, თავაზიანი, მცოდნე, თუ როგორ კეთდება საქმე? ბარგუზინსკის კომბინატში ცხვირსაც ვერავინ შეყოფს! დაე, ილაზღანდარონ კაცებმა - ჩემი მაგიდა მათი მფარველი იქნება. გენერალი დულჩიკოვი იქნება მათი დამცველი, მაგრამ როგორც პრაქტიკოსი, გეტყვით შემდეგს: ბატონი სანტაპუკინის გარეშე ამ საკითხში რაიმეს მიღწევა შეუძლებელია.

პოდხოლუზინი - სანტაპუკინიო, ამბობ? და მერე რა... მე მას კარგად ვიცნობ, მაგრამ იმისთვის, რომ შენ სანტაპუკინის მფარველობა მიიღო, მარტო ბარგუზინსკის კომბინატს კი არ დაიცავ, არამედ სხვა ფირმების მთელი სია მაქვს ზღვისპირეთიდან ბალტიამდე, დიქსონიდან მაცესტამდე. რაღაც არ მესმის თანხმობის მხიარული შეძახილი, სად არის, გენერალო?

დულჩიკოვი - მზად ვარ! ყველაფრისთვის მზად ვარ! თქვენო აღმატებულებავ, თქვენი მონამორჩილი ვხდები! თქვენ ოღონდ მიბრძანეთ, რაც გსურთ! მხოლოდ მომეცით ვიცე-პრემიერის მფარველობა. უთხარით მას, რომ დულჩიკოვი მზადაა, მასაც ემსახუროს ისეთივე თავდადებით, ჩვენი მმართველი პარტიის წევრის ერთგულებით. სად არის ფირმების ჩამონათვალი, რომელთაც გაგებით მომსახურება სჭირდება, თვალდახუჭული, დახშული ყურებით, უსიტყვოდ, მომეცით თავის გამოჩენის საშუალება!

პოდხოლუზინი - დღეს მე ვხვდები ადამიანს, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ. მოველაპარაკები შენზე. მე გავაძლიერებ შენს სამსახურებრივ კარიერას, სანამ ის იქნება ხელისუფლებაში, შენც უფროსივით იცხოვრებ. და იქ ნათელი იქნება, ადამიანები, ვინც მე მემსახურება, ხელშეუხებელია, მაგრამ არ გამაბრაზო გრძელი ენით და დაუმორჩილებლობით. ტროეკუროვსკის სასაფლაოზე გარდაცვალებულთათვის ადგილი ყოველთვის მოიძებნება. მიხვდი, რასაც ვგულისხმობ? რაც შეეხება ბარგუზინსკის კომბინატს, გამოიყვანე იქიდან შენი ხალხი და მოამზადე ცნობა, რომ საწარმოში დარღვევები არ აღმოჩნდა. ეს იქნება შენი ერთგულების ბიუჯეტში პირველი შენატანი. სხვა ფირმების სიას, რომელთაც მე ვმფარველობ, დღეს საღამოს მიიღებ. მე დაგირეკავ დღის მეორე ნახევარში. მორჩა, აბა, შენ იცი.

დეპუტატი დგება და გასასვლელისკენ მიემართება. დულჩიკოვი ძლივს ასწრებს მიაძახოს: „მადლობა ნდობისათვის“! არკადი ლვოვიჩი ისევ სარკმელთან მიდის და მაროსეიკს გადაჰყურებს, რომელიც მაგნიტივით იზიდავს, რადგანაც ოთახში მარტო დარჩა, გამოთქვამს მკაფიოდ: „რა უნდა ვქნა ხანძრის დროს? აქედან ვერ გადავხტები. გაიქცე, გასასვლელიც არსადაა... და როგორ უნდა იცხოვრო ამ ბორცვის უკან? იქ ასეთი ავაზაკთა ბუნაგი არ არის. მოწყენილობისგან ხომ მოკვდები, ძვირფასო დულჩიკოვ? იქ შენს მაგიდასთან რიგები არ დადგება...“

შემოდის ლუბა.

ლუბა - არკადი ლვოვიჩ, ვინ შემოვუშვა?
დულჩიკოვი - დაე, შემოვიდეს ვადბოლსკი.

ვადბოლსკი მაშინვე გამოჩნდება კართან.

დულჩიკოვი - ასე რომ, ძვირფასო ადამიანო, მომიწევს თქვენი თხოვნის შესრულება, ბატონ სლუზოვს მე დიდ პატივს ვცემ. მეც მაქვს თქვენთან ერთი პატარა საქმე, ჩემმა მეგობარმა დამაკისრა, ასეთია ჩვენი ჩინოვნიკური ყოფა. არის ერთი ძველი, ყელსაბამი, ზურმუხტებით შემკობილი, ცენტრალური ქვა კი ხუთკარატიანი ბრილიანტია. ის სავარაუდოდ ეკუთვნოდა... დიახ, გრაფინია მარია სერგეევნა გოლენიშჩევ-კუტუზოვას. გრაფინია ცოლად ჰყავდა ნიკოლოზ მეორის ძმას, დიდებულ თავადს დიმიტრი ალექსანდროვიჩ რომანოვს. არავითარი დოკუმენტი, ყელსაბამის საკუთრების რაიმე საბუთი, რა თქმა უნდა, არ არის. არადა საჭიროა. ასე რომ, თუ თქვენი სათავადაზნაურო საკრებულო გასცემს რაიმე ქაღალდს, მოწმობას, რომ ყელსაბამი ნამდვილად ეკუთვნოდა ზემოხსენებულ ქალბატონს და რომ ეს დასტურდება ამა და ამ თავადზე, ამა და ამ გრაფის ხელმოწერით... ერთი სიტყვით, ხომ გამიგეთ? სულ საჭიროა ხუთი-ექვსი ხელმოწერა. საიუველურო სამკაულის სრულ აღწერას ქალბატონ არხაპოვასგან მიიღებთ. ის თავად გიპოვით, შევთანხმდით?

ვადბოლსკი - მოხარული ვიქნები, თუკი რაიმე სამსახურს გაგიწევთ! მივქრივარ ნარიცინთან. რაც შეეხება თქვენს თავადურ წოდებას, ნებას მაძლევთ პირველი ნაბიჯები გადავდგა? დარწმუნებული ვარ, რომ სათავადაზნაურო საკრებულო ერთხმად დაამტკიცებს ამ ინიციატივას. შემიძლია, ამხანაგები დავამშვიდო, რომ თქვენი კომისია გულმოწყალე იქნება აუდიტის ჩატარებისას?

დულჩიკოვი მოწყალედ უქნევს თავს.

დულჩიკოვი - მაგრამ რატომ „ამხანაგები“? ნუთუ მოსკოვის სათავადაზნაურო საკრებულოზე ერთმანეთს ამ დავიწყებული კომუნისტური სიტყვით მიმართავთ?

ვადბოლსკი - უკაცრავად, დამავიწყდა, გმადლობთ თბილი დახვედრისთვის, თქვენო ბრწყინვალებავ, თავადო დულჩიკოვ! კარგად ბრძანდებოდეთ.

ვადბოლსკი მოწიწებით იხევს უკან, კარისკენ.

დულჩიკოვი (ხელებს კმაყოფილებით იფშვნეტს) - ახლა შესაძლებელია ვაცნობოთ გუბერნატორს, რომ მის საქორწილო საჩუქარს პრემიერ-მინისტრის ქალიშვილისთვის ფასი მოემატა, საგრძნობლად გაძვირდა...

ლუბას ხმა (პირდაპირ კავშირზე) - თქვენთან ბატონი მამედოვია.

დულჩიკოვი - შემოუშვი.

შემოდის მამედოვი.

დულჩიკოვი - მაშ ასე, გისმენთ.

მამედოვი - მადლობა, რომ მიმიღეთ.

დულჩიკოვი - რა საკითხთან დაკავშირებით მაწუხებთ?

მამედოვი - სულაც არა შეწუხებისთვის, არამედ მე ეს თქვენმა ყოფილმა უფროსმა მითხრა, რომ ჩემს საკითხს დულჩიკოვი გადაწყვეტდა. დაგირეკათ?

დულჩიკოვი - და ვინაა ის ჩვენი ყოფილი უფროსი?

მამედოვი - მისი გვარია საპფიროვი.

დულჩიკოვი - ააა, საპფიროვი... და რაშია საქმე? მოკლედ მიამბე, თქვენ თავადაც ხომ ნახეთ, რა გრძელი რიგია მოსაცდელში.

მამედოვი - დიახ, დიახ, ჰო, იმას ვამბობდი, ჩემს ინტერესებშია საქმეზე ლაპარაკი. თქვენ იცით რესტორანი „კარდაში“? ეს ჩვენებურად მეგობარს ნიშნავს.

დულჩიკოვი - არ ვიცი, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა, განაგრძეთ.

მამედოვი - უფროსო, მე ამ რესტორნის მეპატრონე ვარ, ჩემთან ყოველდღიურად მთავრობიდან ხალხი დადის. მეუბნებიან: ფისკალური სამსახური ყველა ხარჯს ჩამოგიწერსო. მოვედი, გავარკვიო, როგორ ჩამოიწერება ხარჯები. რა განცხადება დავწერო. პატიოსნად გეუბნებით, ბევრი ფულის ჩამოწერაა საჭირო.

დულჩიკოვი - ჩანთაში რა გაქვთ?

მამედოვი - როგორ თუ რა, საჭმელი! რესტორნის საუკეთესო კერძები მოგართვით. ერთხელ გასინჯავთ, მთელი ცხოვრება მამედოვთან დაიწყებთ სიარულს.

დულჩიკოვი - როგორ შემოგიშვეს მაგ ჩანთით. არ ვიცი, როგორ უშვებენ მთხოვნელებს ასეთი ტვირთით?

მამედოვი - რას ამბობთ, როგორ არ შემომიშვებენ? თქვენი დაცვის უფროსიც ჩემთან დადის, მხიარული კაცია, დიახ, გეფიცებით.

დულჩიკოვი - ზუსტად ვინ გითხრათ, რომ მე თქვენი რესტორნის ხარჯებს ჩამოვწერ?

მამედოვი - აკი გითხარით, საპფიროვმა.

დულჩიკოვი - ჩვენი დაცვის უფროსის გარდა, კიდევ ვინ დადის თქვენთან?

მამედოვი - გულახდილად გეტყვით, აი, გეფიცებით, გვარები არ ვიცი, მართლა არ ვიცი, სახეზე ვიცნობ, ვინ არიან, მე რა ვიცი. პოლიციელები დადიან, მეხანძრეები დადიან, რაიონის ზედამხედველები დადიან, სანეპიდსადგურიდან დადიან, სავაჭრო ინსპექციაო, ბუნების დაცვაო, საშინაო ოფისიო, პროკურატურაო, დადიან, სხვა რა ვიცი... საგადასახადო ინსპექციიდანაც დადიან, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოდანაც, დუმა დადის, ფედერალური საბჭო დადის, საგზაო პოლიცია დადის... ყველა დადის რა, ჩემო ძვირფასო, მხოლოდ ხარჯი მაქვს. გთხოვთ, ჩამომაწეროთ 17 მილიონი მანეთი. წელი დასრულდა, ჰოდა კიდევ საშემოსავლო გადასახადს ამ თანხაზე ვინ გადამიხდის? პატიოსნად რომ ვთქვა, უპატიოსნო საქმეა. მე მთელ მთავრობას გემრიელად ვუმასპინძლო და გადასახადიც მე გადავიხადო? რუსეთში განა შეიძლება ასეთი რამ? რუსი ხალხი გონიერია, დიახ! სამართლიანია, დიახ, ურთიერთგაგებით ცხოვრობენ, მაშ!

შემდეგ ბატონმა მამედოვმა ჩანთიდან რესტორან „კარდაშის“ კერძების ამოლაგება დაიწყო.

მამედოვი - ეს ცხვრის ტოლმაა, ეს ბოზ-ბაშია, ცხვრის დუმაშია მოხარშული, თითს ჩაიკვნეტ, ეს ნახჭევანის ხორციანი პომიდორია, ეს შაკერ-ჩურეკია, ეს კი ლულა-ქაბაბია თხის ხორცისგან, ძალიან გემრიელია, დიახ. ეს კი კასპიის ზუთხის მწვადი, აი, ესეც ფახლავა! უფროსო, ძალიან მადისაღმძვრელია, არა? ჩამომაწერეთ 17 მილიონი მანეთი, ვფიცავ, თქვენი მთავრობის წარმომადგენლებზე დავხარჯე, დიახ!

დულჩიკოვი - ასე რომ... შენი ხორაგეულობა დასასვენებელ ოთახში გადაიტანე... აი, იქ, მარჯვნივ მდებარეობს. რაც შეეხება შენს თხოვნას, მე მჭირდება

იმ ჩინოვნიკების გვარების ჩამონათვალი, რომლებიც უფასოდ ილხენენ შენს „კარდაშში“. სხვანაირად მე ვერაფრით დაგეხმარები.

მამედოვი - გვარები როგორ შევეკითხო, ჰა? ხომ შეიძლება შეშინდნენ. რა ვუთხრა, ვფიცავ, არ ვიცი... რომ გაბრაზდნენ და რესტორანი დამიხურონ? მეგობრები რას იტყვიან, თავისმომჭრელი ამბავი ერთ დღეში მოედება მოსკოვს და ბაქოს: მამედოვის რესტორანი დაიხურაო, მამედოვი ჩამშვებიაო! მამედოვი ყურუმსაღიაო, მერე როგორ ვიცხოვრო? არა, უფროსო, იპოვეთ სხვა გამოსავალი, დიახ, გეფიცებით, ძალიან გთხოვთ!

დულჩიკოვი - შენც ადექი და ყველას სავიზიტო ბარათები გამოართვი, იქ აღნიშნე, ვის რამდენი მართებს და მე გადმომეცი, შემდეგ მოვიფიქრებ, როგორ დაგეხმარო. გასაგებია? კარგი იქნება, ეს გვარები მეც რომ ვიცოდე. აბა, წადი, მამედოვ, როდესაც მასალებს შეაგროვებ, შეგიძლია ისევ შემომიარო, მიდი, შენ იცი.

მამედოვი - გმადლობთ, დიახ, დამეხმარეთ, რა, უფროსო, ხუმრობა როდია, სულაც არაა სახუმარო, ეს ჩვიდმეტი მილიონი რუბლი, მირჩიე რა, რა ვქნა?

დულჩიკოვი - წადი, წადი, მე ყველაფერი გითხარი.

მამედოვმა თავი დახარა და ნელა, შიშით გახედა ჩინოვნიკის მკაცრ სახეს, რაღაც ჩაიბურტყუნა და კარს მიაშურა. დულჩიკოვი კი კვლავ სარკმელს უახლოვდება, გადაჰყურებს მაროსეიკს, ფიქრობს. ამ დროს სცენა ბნელდება და განათებულ წრეში მხოლოდ დულჩიკოვი რჩება.

დულჩიკოვი - ასე რომ, თუ ხანძარი გაჩნდა, გასაქცევიც არსადაა, უნდა ჩემს მძღოლს, მიტკას მივცე დავალება, გრძელი თოკი და დათბილული თათმანები მიყიდოს. რომ ხელზე ბებერებისა და ტრამვების გარეშე შევძლო ჩასვლა. თუ თოკს გამათბობელ ბატარეას მივაბამ, მაშინ მაგიდის ჩაშვებასაც შევძლებ და თავადაც უსაფრთხოდ ჩავსრიალდები ქუჩაში, მაროსეიკაზე მოვხვდები. ხოლო თუ უწყების ოფისი დაიწვება, მაშინ პირდაპირ ქუჩაში შეიძლება კლიენტების მომსახურება. მაგიდა მთელი დარჩება, ვაშა! ბრწყინვალე იდეა დამებადა! ქუჩაში, ხალხის ბრბოში ჩემი მაგიდისკენ მიმავალ რიგს ვერც კი შეამჩნევენ. ჯაშუშები ვერასოდეს გაიგებენ, ამ სახით ჩემთან ვინ მოდის, ვინ მაღაზია „სინათლეში“, ვინ სარედაქტორო ფირმაში სემინოის ათ ნომერში. აქ შეიძლება ფული კარგად მოვხვეტო, მაგრამ უკეთესი აზრიც მაქვს: რა იქნება, თუ აქედან, კაბინეტიდან პირდაპირ თოკით გორაკზე დავეშვები? და არა ამ აქოთებული შერემეტიოვოს გავლით, არამედ ნაძვის ხის დეკორაციების შუქზე ზამთრის საშობაო დღესასწაულზე გავფრინდები,

ევროპის ცენტრში. აბა, რას იტყვი, გეთაყვა, დულჩიკოვ? აბა, როგორია, პირდაპირ ბერლინში, პარიზში, ლონდონში! შვიდვარსკვლავიან რესტორანში... აი, მახახორინს რა მოვუხერხო... ჩაფიქრებული აქვს რაღაც.

ამ დროს კაბინეტში შემოდის ლუბა.

ლუბა - ამდენ ხანს რას აკეთებთ? ვიცდი და ველარ ვითმენ. მე საით წავიდე? პირდაპირ საწოლში?

დულჩიკოვი - ერთი წუთით, ლუბაშა! დაჯექი მაგიდასთან და დაწერე ბრძანება მასტიისკის ქარხნის კომპლექსურ შემოწმებაზე, რომელსაც მფარველობს მახახორინი. შემდეგ დაიწყე უწყებათშორისი კომისიის წევრთა სიის შედგენა, რომელიც ამ საწარმოს ქონებას და საბაჟო გადასახადებს ამოწმებს. დოკუმენტებს შეიძლება დაერთოს ინსტრუქცია მოსკოვის ცენტრალურ ოლქში: - შემოწმდეს ყველა სავაჭრო პუნქტი, სადაც ხდება ამ ქარხნის ნაწარმის გაყიდვა!

ლუბა - არკადი ლვოვიჩ, იქნებ იმის შემდეგ გვემუშავა...

დულჩიკოვი - რა მოგივიდა, ლუბაშა? ახლავე დაჯექი და დაიწყე წერა. მხოლოდ საქმის მერე დადგება გართობის საათი. **(უცებ)** ასე არა... ბრძანება ჩვენი უწყებიდან არ უნდა იყოს. მე სუფთა ვარ მახახორინთან. დაურეკე ახრიაპოვს, დაე, ხელი მან მოაწეროს. ჩემი სახელით სთხოვე, აბა, მახახორინ, გამაგრდი!

დულჩიკოვი მიდის სარკმელთან, გადაჰყურებს მაროსეისკს და სანამ ლუბა წერს ბრძანებას, კვლავ იწყებს ხმამაღლა ფიქრს:

დულჩიკოვი - ასე რომ, თუ ჩვენი დეპარტამენტი დაიწვა, მე ჩემს მაგიდასთან ერთად დავაღწევ ხანძარს თავს. მაშინ, სანამ ყველას ახალ კაბინეტში არ მოათავსებენ, მხოლოდ მე ვიქნები სამსახურში ერთადერთი ჩინოვნიკი, ხომ ასეა? მერე რა რომ ყინავს. დათბილული პალტოთი, ირმის ტყავის ჩექმებით და წავის ყურებიანი ქუდითაც შეიძლება მთხოვნელების მიღება. ძვირფასი სამოსი საშუალებას მომცემს მომსახურების ტარიფი გავზარდო. აღარ იქნება მინისტრი, აღარც 15 მოადგილე, არც ოცდაშვიდი დეპარტამენტის უფროსი. მხოლოდ მე, ერთადერთი... მესამე რანგის სახელმწიფო მრჩეველი, ბრწყინვალე თავადი, გენერალი არკადი დულჩიკოვი! რა ამაყად ჟღერს, არა!? ყველა საკითხს თავად გადავწყვეტ. რამდენი ფული ჩავა ჩემს ჯიბეში... ასე რომ, იქნებ გაგვეჩინა ხანძარი? გადავწვათ ყოველივე? როგორ? მარტივი საქმეა... ავაფრინოთ წითელი მამალი... მიტკას ანგარიშს გავუსწორებ და ყველაფერს ის მოაგვარებს, დაე, დაიწვას წყეული,

არა? მხოლოდ ერთი ბოთლი ნავთიც ეყოფა. მაროსეიკის ქუჩა ისეთი ვიწროა, იმდენი მანქანა და ფეხით მოსიარულეა, სახანძრო მანქანები მხოლოდ ფერფლს თუ მოუსწრებენ. სამინისტროსგან გადარჩება მხოლოდ ერთი მაგიდის ჩინოვნიკი, წინდახედული ბატონი დულჩიკოვი, თავისი მაგიდით, ბეჭდით, საქმიანი ქაღალდებით, როგორია, ჰა?!

ლუბა - კიდევ რა გავაკეთო, ლვოვიჩ?
დულჩიკოვი - შეადგინე ბრძანების ტექსტი?
ლუბა - დიახ, ნიმუშის მიხედვით, ახლა რა ვქნა?
დულჩიკოვი - წავიდეთ დივანზე...

დულჩიკოვი ლუბასთან ერთად იმალება დასასვენებელ აპარტამენტში. გარკვეული დროის განმავლობაში ისმის ოხვრა და ვნებიანი შეძახილები.

ლუბას ხმა - დაიღალე, ლვოვიჩ? არ ინერვიულო, ყველაფერი გამოგივა.

ისევ ხვნეშისა და ოხვრის ხმა.
აპარტამენტიდან ტრუსების ამარა გამოდის დულჩიკოვი.

დულჩიკოვი - რა არის ეს? ადრე ასეთი რამ არ მომსვლია, ამ წყეულ სამსახურში შეიძლება კაცი იმპოტენტი გახდეს.

დულჩიკოვი თავდახრილი მიუჯდება მაგიდას და ჩვეულებისამებრ მოხვევს ხელებს. მოულოდნელად მაგიდა იწყებს ციმციმს, თრთოლვას, არაადამიანური ხმების გამოცემას, ისეთი შეგრძნება ჩნდება, თითქოს განიცდის ეროტიულ ექსტაზს. დულჩიკოვი წამით შიშით მოსცილდება მაგიდას. შემდეგ ისევ ჩაეკონება, შეიგრძნობს მამაკაცური ძალებით აღვსებას, ლოყით ნაზად ეხება მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირს.

დულჩიკოვი - დუსია, ჩემო სიყვარულო,

მაგიდა ეხმიანება ახალი ბრწყინვალებით და რხევებით, და მოულოდნელად ან იქნება მოეჩვენა, უსულო საგანში ბუნდოვნად იკვეთება მდედრის ნიშნები.

დულჩიკოვი (აღფრთოვანებით) - დუსენკა!

და იქვე გენერალი მაგიდიდან წამომდგარი დასასვენებელ აპარტამენტში შეიჭრება.

კვნესა...ხვნეშა...

ლუბას ხმა - ოხ, ლვოვიჩ, ო, საყვარელო, რა ძლიერი ხარ, კიდევ ერთხელ... კიდევ ერთხელ.

სცენა ბნელდება. პროჟექტორის შუქი მხოლოდ განათებულ, მოცახცახე, მდედრად სახეცვლილ მაგიდას ანათებს, რომელიც ეროტიკულ ხმებს გამოსცემს და ეს კვნესა ლუბას ვნებიან წამოძახილს ერწყმის. შემდეგ ხმები ნელ-ნელა იკლებს და ქრება.

მეორე მოქმედება

ბატონ დულჩიკოვს სძინავს. ეს დღის სიზმარია, მოკლე და ნათელი ხილვებით სავსე. თვალწინ გაელვებული სურათები ისე უჩვეულოდ ცხადია, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა თავს უფლებას, დაეჯერებინა, რომ ყველაფერი, რაც მის თავს ხდება, მხოლოდ სიზმარია. რომ ის არა რეალურ, არამედ ვირტუალურ ცხოვრებაში იმყოფება.

ეს სცენა ხორციელდება პანტომიმით.

ის ხედავს ყოვლად წარმოუდგენელ სურათს: მაგიდასთან ხელკავით, რომელსაც გენერალი ახლა დუსიას ეძახის, ის კუტუზოვის პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთ ძვირფას ქალაქურ ბუტიკში შედის. დუსიას მშვენიერი ფიგურა აქვს, მაგრამ აი, მისი სახის დანახვას ის ვერაფრით ახერხებს. ის დაფარულია რაღაც გაურკვეველი მიჯრით ჩაწიკწიკებული ხელნაწერებიანი ქაღალდებით. მხოლოდ მუქი თვალები ანათებს. მისი იდუმალი შუქი გენერალს აგონებს გაშავებულ საკეტის საპირეებს, რომლებიც მისი მაგიდის უჯრებზე ანათებდნენ. ბატონი დულჩიკოვი დუსიასთვის საღამოს კაბას ეძებს.

დულჩიკოვი - დუსკა, აქ ყველაფერი შენია.

დუსკა (მშვიდად) - გასაგებია, რომ ჩემია, შენ ვინ იქნებოდი, რომ არა მე?!

დულჩიკოვი - ვიცი, დუსენკა, ვიცი.

დუსია ჭირვეული არსებაა. მას თითქმის არაფერი მოსწონს. ექსცენტრიული, ახირებული ქალბატონი ზიზღით ირჩევს ძვირფას სამოსს, როგორც ჩინოვნიკი

მჟავე ფიზიონომიით, მოსაწყენ ფოსტას რომ ფურცლავს. მის გარშემო კონსულტანტები ფუსფუსებენ, მას ემსახურებიან მენეჯერები, მოდური ნივთები მიაქვთ მასთან შესარჩევად, გაწაფულ, მკაცრ, მაგრამ სახეზე მუდამ ღიმილიან გამყიდველებს. ბოლოს დუსია ირჩევს თავისი გემოვნებით კაბას და არა როგორც ავეჯი, არამედ არტისტული გრაციოზულობით მიაშურებს გასასინჯ კაბინას. დულჩიკოვი ერთ ხანს ელოდება, შემდეგ შეშფოთებული შეიხედავს. იქ არავინაა, სწორედ ამ ხილვის დროს ლუბა მსუბუქად ეხება მხარზე.

ლუბა - გამოიღვიძეთ, ლვოვიჩ! მთხოვნელი გელით, ბატონი ტრეშჩალოვია რიგში.

დულჩიკოვი - არა, არასდროს! მაგიდას არავის დავუთმობ. მათხოვრად ვიქცევი, მაგრამ სხვას ჩემს მაგიდას არ მივცემ. ამ დუსიას კი, მოღალატეს, ნაძირალას ჭკუას ვასწავლი.

ლუბა - მაპატიეთ, რომელ დუსკას?

დულჩიკოვი - ვიცი, ვისზეც ვსაუბრობ. კარგი, ლუბაშა, წადი. ჩავიცვამ და ხუთ წუთში გავაგრძელებ ვიზიტორების მიღებას. და აი, კიდევ რა, თუ დარეკა პოდხოლუზინმა, ჩემი მობილურის ნომერი დაუტოვე, ხოლო ბარგუზინსკის გუნდს გადაეცი ჩემი ბრძანება იმის შესახებ, რომ დაბრუნდნენ და გამოძიება სუფთა ოქმით დახურონ, გასაგებია?

განკარგულების გაცემასთან ერთად დულჩიკოვი იცვამს.

დულჩიკოვი - აი, მეც მზად ვარ.

ლუბა გამოდის და ზუსტად ერთ წამში კაბინეტში შემოიჭრება მოკლედ თმაშეჭრილი, საშუალო სიმაღლის ჩასხმული, ასე 30 წლის მამაკაცი. მას ფეხდაფეხ მოჰყვება ვეფხვისებრი ბულტერიერი, დაკუნთული, განიერი მკერდით, მოკლე ფეხებით, ზვიგენის თანკბილვით და მსხვილი ვირთხის კუდით.

ტრეშჩალოვი - მისმინე, კაცო, კიდევ დიდხანს უნდა გელოდო? რომ მცოდნოდა, მოვიდოდი სადილის მერე... შენს გამო მუცელი ცარიელი მაქვს. ძაღლიც გაავებულია, ძალიან უნდა, ეგ უკანალი მოგაჭამოს. მეც მექავება ხელები შენი სიფათის გასალამაზებლად... რაღაც კარგი მასპინძელი არ ჩანხარ. შენ რა, ქერტლი ხომ არ გგონივარ პოლიციელის ქურთუკზე, ან იქნებ ბუმბული, ჩიტების

ბაზრიდან. მე ყვავების გუნდის წარმომადგენელი ვარ... გაიგე, ჩინოსანო? ჩვენ პატივი უნდა გვცენ არა მარტო შენს ოფისში, არამედ უფრო ზევითაც.

დულჩიკოვი - რას ბრძანებთ, გეთაყვა, მომიტევეთ, რომ გალოდინეთ, წლის ბოლოა, მომსვლელებს ვერ ავუდივართ.

ტრეშჩალოვი - ნუ მეძახი „გეთაყვას", მე შენი გეი ხომ არ გგონივარ, გასაგებია?

დულჩიკოვი - როგორ მოგმართოთ?

ტრეშჩალოვი - თქვენ მხედველობაში გაქვთ, რა მქვია? დამიძახეთ უბრალოდ შეშლილი ამწეკრანი.

დულჩიკოვი - როგორ? მაპატიეთ, კოშკურა ამწე?

ტრეშჩალოვი - არა, როგორც გესმით, შეშლილი ამწე, გასაგებია?

უცებ ტრეშჩალოვი სკამს ასწევს და იატაკზე დაანარცხებს. ძლიერი ავეჯი დარტყმას უძლებს.

დულჩიკოვი - რითი შემიძლია გემსახუროთ? რა დახმარება გჭირდებათ?

ტრეშჩალოვი - შენ რა, ზანოზამ არაფერი გითხრა? იტყუები, ყველაფერი გითხრა!

დულჩიკოვი - დამავიწყდა, დავბერდი, გამახსენე, რაშია საქმე?

ტრეშჩალოვი - რაო, ჩვენი თხოვნა დაგავიწყდა? ეს როგორ, ბრიყვო? რადგან ფორმა გაცვია, გგონია ტვინს ვერ დაგანთხევინებ? ისე მოგიქცევ მაგ სიფათს, ღორის ფაშვს დაემსგავსები, გაიგე? მაშინვე აზრზე მოხვალ, ყველაფერს გაიხსენებ. აქამდე არასდროს ყოფილა, ვინმეს ჩვენი თხოვნა დავიწყებოდეს. ჩვენი საძმოს უკან იცი ვინ დგას? აიღე წერილი და ხელი მოაწერე. აქ ყველაფერია მითითებული. არ მკითხო ახლა, იქ რა წერიაო. თვითონ წაიკითხე. შენ რა, გგონია ვიცი, რაშია საქმე? სამ წუთს გაძლევ, ბრიყვო! შემდეგ მაგ სიფათს დაგიმუშავებ, როგორც მზარეული ჩეჩქვავს დაბეგვილ ხორცს შეწვამდე, გასაგებია?

დულჩიკოვი - ასე რომ... დღგ-ს დაბრუნება სასმელი პროდუქტის ექსპორტზე. საერთო დასაბრუნებელი თანხა ასოცდაათი მილიონი რუბლია. თუ გაქვთ საბაჟო დეკლარაცია თქვენი პროდუქტის ექსპორტზე? საერთოდ, რა საბუთები გაქვთ?

ტრეშჩალოვი - რა საბუთები, შენ რა, გააფრინე?

ტრეშჩალოვის ხმაში რაღაც ისეთი იყო, რაზეც ქოფაკი მყისიერად რეაგირებს: მისი ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები ავად უმზერდა ბატონ დულჩიკოვს. თითქოს

მისი ძლიერი, მოკლე სხეული ბრძანების მოლოდინში გარინდულიყო. ძლიერი ყბა ოდნავ გაეხსნა, დიდი თათები დაძაბვოდა.

ტრეშჩალოვი - ორ წუთზე ნაკლები დარჩა. თუ არ გაითვალისწინებთ, თქვენზე ქოფაკი იზრუნებს. ის კარგადაა გაწრთვნილი ცხვირზე კბენასა და სამხრეების დაგლეჯვაში. თუ თქვენ იცნობთ რუსეთის კანონმდებლობას, მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ ძაღლის პატრონს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება მიყენებულ დაზიანებებზე. დიდი-დიდი ჯარიმა! მხოლოდ ცოფის ინექციების გადახდა თუ დაგვეკისრება. ეს ქოფაკი თუ დაგგლეჯს, მე ამის გამო არაფერი, სულ არაფერი მელის. მე ისინი ყველა აი, აქ მყავს.

(ტრეშჩალოვი უზარმაზარ მუშტს აჩვენებს, შემდეგ გაშლის მუშტს, კიდევ ერთ სკამს დაითრევს და იატაკზე დაახეთქებს. ამჯერად სკამი იმტვრევა).

დულჩიკოვი (მცირე პაუზის შემდეგ) - მოვაწერ ხელს.

მესამე რანგის სახელმწიფო მრჩეველი მიდის მაგიდასთან, იღებს ოქროს კალმიან „პარკერს“ და ხელს აწერს ბედკრულ ქაღალდს.

დულჩიკოვი - აი, რეზოლუცია, ახლა არავინ შეგიშლით ხელს თანხის დაბრუნებაში, ოღონდ ეს ძაღლი მომაშორეთ, ჩემი კიტელის გამო ვშიშობ.

ტრეშჩანოვი - რა კიტელი, შეიძლება ხელი დაკარგო, ან თუნდაც თავიც და მაგიდაც. არ გაანაწყენო ჩვენი საძმო, თორემ თუ დღევანდელი უსიამოვნო შემთხვევა განმეორდება, ცუდადა გაქვთ საქმე. კაპუტ! იცი, რატომ გვეძახიან ჩვენ ყვავების გუნდს?

დულჩიკოვი - მაპატიეთ, არა...

ტრეშჩანოვი - ჩვენ საქმეში ყვავები გვყავს, განა უბრალო ჩიტები - გაწრთვნილები და განა მარტო ფრთოსნები? სხვაც მრავალი ცხოველი. ისინი ჩვენს დავალებებს ასრულებენ, ყოველგვარი ყოყმანის, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. საჭიროა, მაგალითად, დულჩიკოვი ვაიძულოთ, ქაღალდზე ხელი მოგვიწეროს, ან პუპსიკოვმა საჭიროებისამებრ თანხა გადაიხადოს. რატომ უნდა დავისვაროთ მუშტები? ამისათვის ჩვენს არსენალში მცოცავებიც გვყავს, მფრინავებიც და მკბენარებიც. მათ ვერსად დაემალები. ღრიჭოებში შეცოცდებიან, ჭაში ჩაძვრებიან, ფანჯრებში შეფრინდებიან, თუ საჭიროა, მანქანასაც

გადააყირავებენ. გესმის, ჩინოსანო? ნუ ეცდებით, გაახელოთ ჩვენი ალალი ბიჭები. ჩვენ არავის არაფერს შევარჩენთ. ერთი გუნდი ვართ, გესმის? კარგი, წავედი.

როგორც უცებ შემოიჭრა, ისეთივე სისწრაფით ტოვებს ოთახს ძაღლთან ერთად ტრეშჩანოვი და თან ხელმოწერილი საბუთი მიაქვს.

დულჩიკოვი (პირდაპირი კავშირით მიმართავს მდივანს) - შემოდი.

პოპიშევა მაშინვე შემოვა ოფისში. დულჩიკოვი თვალით ანიშნებს უწესრიგობაზე. მდივანი ყველაფერს ხვდება და იწყებს ოთახის მოწესრიგებას.

დულჩიკოვი - დაე, კლეშივცევი შემოვიდეს ჩემთან. არ შემოუშვა ქოფაკთან ან სხვა რაიმე პირუტყვთან ერთად. რომ აღარასდროს განმეორდეს ისეთი შემთხვევა, როგორიც ტრეშჩანოვთან მქონდა. ბულტერიერი ჩემს კაბინეტში? სკანდალია! აკრიფე კომპიუტერზე: ცხოველებით და ძაღლებით უფროსთან შესვლა სასტიკად აკრძალულია. ამ განცხადებას ჩემი კაბინეტის შემოსასვლელთან გააკრავ! სასწრაფოდ! გასაგებია?

სანამ მდივანი აწესრიგებს კაბინეტს, არკადი ლვოვიჩი კვლავ სარკმელთან მიიწევს და მარისეისკს გადახედავს. ჩაბნელდება.

დულჩიკოვი (სინათლის შუქზე) - კლეშივცევი, ეს ქალაქის სახანძრო სამსახურის უფროსის ვაჟიშვილია. საჭირო კაცი ჩემს საქმეში. თუ არქივის ნაცვლად ნაცარი დახვდებათ, ეს საუკეთესო საშუალება იქნება რუსეთის კანონის დარღვევის საქმის დასახურად. არა, ხანძარი მართლაც ბევრი რამისთვისაა საჭირო. ცეცხლი გაანადგურებს არა მხოლოდ ქონებას, არამედ მტკიცებულებებსაც. აუცილებლად უნდა მოვუძებნო ახალგაზრდას სამსახური, მაგრამ სად? რომელ დეპარტამენტში? დაცვაში? ან იქნებ ჩემთან, განყოფილებაში, ჰა? ცუდი სულაც არაა. იმის ნაცვლად, რომ ყოველ შემთხვევაზე სთხოვდე დახმარებას მეხანძრეთა უფროსს და ღირსეულ ანაზღაურებას აძლევდე, არა ჯობია, მის შვილს მისცე ასეთი დავალება? საქმე უცებ გაკეთდება და მთავარია, საკითხის ფასი დაიწევს. ტარიფი სარდაფში ჩავარდება, ა? ჩემთვის უფრო იაფი გახდება და რა არის ეს, სულ ხანძარი და ხანძარი?

კაბინეტი კვლავ განათდება.

დულჩიკოვი - აბა, როგორაა საქმე, ლუბაშ, მზადაა? მოიწვიე კლეშჩივცევი.

ოთახში შემოდის ახალგაზრდა კაცი. ასე ოცდახუთი წლის. ხელში დაუდევრად უჭირავს რაღაც ქაღალდები.

დულჩიკოვი - ასე რომ, დაბრძანდით. როგორ არის მამათქვენი? ხომ ჯანმრთელადაა. მე სწორედ გუშინ ვესაუბრე. უჭკვიანესი ადამიანია, რუსეთის სახანძრო საქმის სიამაყე! გულწრფელად მინდა, დაგეხმაროთ. სად გსურთ დაიწყოთ მუშაობა, კარიერა, რომელი საქმით ხართ დაინტერესებული?

კლეშჩივცევი - სადაც მამიკო გადაწყვეტს, იქ დავიწყებ. თავი რატომ უნდა ვიტეხო? მასზე უკეთ ვინ მოიფიქრებს? დღესდღეობით ბევრი თავად სთხოვს მამაჩემს, მათთან რომ მოვეწყო, ასე რომ, ირგვლივ საქმე თავზე საყრელია.

დულჩიკოვი - გეთანხმები, ახალგაზრდავ, შრომისუნარიანი ხალხისთვის ძნელი არ არის სამსახურის პოვნა. რა განათლება გაქვთ, სად სწავლობდით?

კლეშჩივცევი - მე ბევრი სხვადასხვა დიპლომი მაქვს. საავიაციო ინჟინერი გამოგადგებათ, ან აგრონომი, ხორცკომბინატის ტექნოლოგი, სპირტიანი სასმელების დეგუსტატორი, ფიზკულტურის მასწავლებელი, ეკონომისტი... ჯერჯერობით ვერაფრით გამიგია, თქვენ ჩემგან რას ითხოვთ?

დულჩიკოვი - იმიტომ გეკითხებით, რომ მსურს გავიგო, რომელი საქმე გსურთ გულით?

კლეშჩივცევი - თქვენ მამიკოს ჰკითხეთ.

დულჩიკოვი - აუცილებლად შევეკითხები, მაგრამ მან რომ მკითხოს, ჩემს ვაჟს თავად რა უნდაო? რა ვუპასუხო, თუ...

კლეშჩივცევი - მომეცით მაგიდა, ისეთივე დიდი და ლამაზი, როგორც მამაჩემსა აქვს. უჯრებით, თაროებით, საჩუქრების შესანახი სეიფით. თუკი გაქვთ თქვენ ასეთი?

დულჩიკოვი - ახალგაზრდავ, თუ გსურთ მამათქვენზე დიდი თანამდებობა, გენერლის წოდების მიღება, ზოგჯერ აუცილებელია, გაისარჯოთ. მე გამახსენდა, რომ თქვენ ეკონომისტის დიპლომიც გაქვთ. ბალანსის წაკითხვა, გაგება შეგიძლიათ?

კლეშჩივცევი - ბიძია, რა სისულელეებს მეკითხებით? წერა-კითხვა პირველ კლასში ვისწავლე, ბალანსების წაკითხვაც შემიძლია, ზღაპრებისაც და იგავ-არაკებისაც. აი, ერთი ბალანსიდან ეს სტრიქონიც კი მახსოვს: „ნათლისღების ერთ საღამოს მკითხაობდნენ გოგოები...“.

დულჩიკოვი - ხო, რა თქმა უნდა, ბალანსები, ბალადები, ეს ყველაფერი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. თქვენ დედაქალაქის სასწავლებლის წარჩინებული კურსდამთავრებული ხართ. დაწერეთ განცხადება. ორშაბათიდან გამოდით სამსახურში. მიიღეთ მაიორის თანამდებობა და მაგიდა დიდი რაოდენობის უჯრებით. ნახევარ წელში გადმოგცემენ ფორმას მაიორის სამხრეებით. თუ მკაცრად დაიცავთ ჩემს მოთხოვნებს, ორ წელში პოლკოვნიკის წოდებას მიიღებთ. მერე კი გენერლის წოდებაც გამოიკვეთება. გაწყობთ? სხვა სურვილებიც ხომ არ გაქვთ?

კლეშჩივცევი - უკვე ორშაბათიდან მაიორის ფორმაში გამოწყობას ვერ შევძლებ?

დულჩიკოვი - მამათქვენთან მოლაპარაკებაა საჭირო. ეგ რა არის, ხელთ რა ქაღალდები გაქვს?

კლეშჩივცევი - დიპლომის ასლები.

დულჩიკოვი - ამოარჩიე ეკონომისტის დიპლომი და სამსახურში მიღების განცხადებასთან ერთად დაუტოვე ჩემს მდივანს.

კლეშჩივცევი - მაშინ მე წავედი.

დულჩიკოვი - წადი! ბალადებს ბალანსებში ნუ აურევ და ყველაფერი კარგად იქნება.

კლეშჩივცევი - ბატონო?

დულჩიკოვი - ვამბობ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.

კლეშჩივცევი - კარგად იქნება, აბა, რა, რადგან მამიკომ ისურვა.

კლეშჩივცევი გადის.

ამ დროს გაისმის ტელეფონის ზარის წკრიალი და შემდეგ მდივნის ხმა.

ლუბა - კავშირზე პოდხოლუზინია.

დულჩიკოვი - გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ!

პოდხოლუზინის ხმა - ბარგუზინსკიდან რა ისმის?

დულჩიკოვი - კომპანია სუფთაა, არც ერთი დარღვევა. ძნელი წარმოსადგენია, ვინ დაწერა დასაბეზღებელი წერილი. უკვე გავეცი განკარგულება, კომისიის უკან დასაბრუნებლად. იქ მათ უკვე არაფერი ესაქმებათ.

პოდხოლუზინის ხმა - მე მქონდა საუბარი ცნობილ პიროვნებასთან. ყველაფერი კარგადაა. ჩამონათვალს, რომელზეც ვსაუბრობდით, ჩემი თანაშემწე მოგაწვდით. დაიწყე მუშაობა. იმედია, ყველაფერი გაიგე?

დულჩიკოვი - ესე იგი, ცნობილმა პიროვნებამ მოიწონა ჩვენი გეგმა? შემიძლია, იმედი მქონდეს შეღავათზე?

პოდხოლუზინი - ყველაფერი რიგზეა, ნაკლებად ილაპარაკე. ნახვამდის!

შუქი მკრთალდება, დულჩიკოვი ლამპიონის შუქზე სინათლის წრეშია.

დულჩიკოვი - სანტაპუკინის მფარველობა, სანტაპუკინის მფარველობა... მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერის ქოლგის ქვეშ... ყოველივე ამის შემდეგ ხომ შემოსავალი გაორმაგდება. არა, სამჯერ მეტი გახდება. ვაშა, დულჩიკოვ, ვაშა!

სცენა ნათდება.

გენერალი მიდის ბართან, სწრაფად იღებს ბოთლს, ისხამს და სვამს ჭიქა არაყს და მაშინვე იღებს გადაწყვეტილებას, გაიმეოროს. მეორე ჭიქის მერე ის იწყებს მაგიდის კოცნასა და ალერსს, მთელი სხეულით ეკვრის მას, ნაზ სიტყვებს ეჩურჩულება. მაგიდასთან ურთიერთობას აწყვეტინებს ლუბას ხმა პირდაპირი კავშირით.

ლუბა - ბატონი კუზიაკინია.

დულჩიკოვი - ის ხომ ხვალისთვის უნდა მოსულიყო, დაუძახე.

ბატონი კუზიაკინი უკვე შემოდის კაბინეტში.

დულჩიკოვი - თქვენ რეკომენდაცია გაგიწიათ ბატონმა ჟასლუპინმა, ჩემმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. ჩვენი უწყების ნათელმა გონებამ.

კუზიაკინი - სწორედ ასეა.

დულჩიკოვი - რით შემიძლია გემსახუროთ. ჩემი ხელმძღვანელის მეგობრები ჩემთვის უფროსი მრჩევლები არიან. მიბრძანეთ, მუშტი ვის დავანახოთ?

კუზიაკინი - მე რომ კონკრეტული საჩივრით ან თხოვნით არ მოვსულვარ. ბოლო ხანებში მე... ეროვნული იდეები მაწუხებს.

დულჩიკოვი - ბრძანეთ, ბატონო, საინტერესოა, გისმენთ.

კუზიაკინი - რაც დრო გადის, უფრო ხშირად ვგრძნობ, რომ ეს სამყარო ჩემთვის უცხოა, გაუგებარი. აი, სულ ახლახანს ჩატარდა არჩევნები. ახლა თითქმის მთელ მედიასაშუალებებს აშფოთებთ დემოკრატიული ძალების დამარცხება. მაგრამ არის კი ჩვენთან, რუსეთში საერთოდ დემოკრატიული მსოფლმხედველობა? დემოკრატია იწყება არა სიტყვით, არამედ საკუთარი ქცევით. თუ პოლიტიკოსი ნამდვილი ბურჟუის ცხოვრების წესს მისდევს, ვინ დაუჯერებს მას, რომ იგი იცავს დემოკრატიულ ინტერესებს? ევროპელი

დემოკრატები დადიან ველოსიპედებით, მოტოციკლებით, ავტობუსებით, იაფასიანი მანქანებით და არა ჰაი კლასის ავტომობილებით. ისინი ატარებენ საშუალო კლასის სამოსს და არა უძვირფასეს ბრენდულ ტანსაცმელს, ჭამენ არა ფეშენებელურ რესტორნებში, არამედ იმ ადგილებში, სადაც ყველას შეუძლია, ისადილოს, სვამენ არა ათას დოლარიან ღვინოს, არამედ სასმელს, რომლითაც დროს ატარებს ხალხი, ისინი ხელშესახებნი არიან, შეგიძლია გააკრიტიკო... ჩვენი ხალხი არ იბრძვის თავისუფლებისთვის. ის ელოდება მიიღოს თავისუფლება მარმარილოს დარბაზში, სახელმწიფო ჰიმნის ხმაზე, მიიღოს სმოკინგში გამოწყობილმა გულზე ბაფთით და ბრილიანტის ქინძისთავიანით შემკული საზოგადოებისგან. რა იმედგაცრუებაა და რა სისულელეა. თავისუფლება არ გენიჭება ზემოდან, პატივცემულო გენერალო, მისი მოპოვება ქვემოთ, ბრძოლითაა შესაძლებელი. სისხლითა და იარებით. პროტესტითა და ამბოხებით ვერ გავაჩაღეთ ქვეყანაში პერმანენტული საპროტესტო აქციები. საზოგადოება სისხლის გარეშე მკვდარია. ჩვენი წყობის რეფორმები იძირება სხვისი მხარისკენ მისწრაფებით, შემგუებლობით. შეხედეთ, როგორ კოცნიან ერთმანეთს ჩვენი ჩინოვნიკები. ცოტა ხნის წინ მე დავესწარი ეკატერინბურგში ახალი გუბერნატორის არჩევის დღის აღსანიშნავ ბანკეტს, კაცების ტუჩების წკლაპუნი ახშობდა საესტრადო მუსიკას. მაგრამ რა არის ეს კოცნა-პროშნა? სიყვარულის და ვნების დეკლარაცია თუ მორჩილების სიმბოლო, ერთგულების ნიშანი თუ ერთობის გამოძახილი. იქნებ მამაკაცური ლმობიერებით ეძებთ თქვენი ინტერესების დაცვას, რომლის საშუალებასაც რეალური ცხოვრება და კონსტიტუცია არ იძლევა.

დულჩიკოვი - თქვენ, მეგობარო, ნუ ბრაზობთ რუსული ცხოვრების ადათ-წესზე. რა მოხდა მერე მამაკაცები თუ ერთმანეთს კოცნიან. ჩვენ ამ ტრადიციას ძმობას ვეძახით.

კუზიაკინი - რაღა მაინცა და მაინც ჩინოვნიკებში, ცნობილ ხელოვნებსა და ბიზნესმენებში დამყარდა ეს ძმობა, რატომ ვერ ნახავ ასეთ განსაკუთრებულ ურთიერთობებს ინჟინრების, მეცნიერების, მძღოლების, ექიმების, ბუღალტრების, მფრინავების, მასწავლებლების გარემოში? არა, ძვირფასო გენერალო, აქ საქმე სულ სხვანაირადაა. ამიტომ ვითხოვე თქვენთან შეხვედრა. რუსულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ტუსოვკებში ხშირად გაიგებთ: როცა ადამიანის შეურაცხყოფა უნდათ, უნდათ, რომ მისი ამაზრზენი ქმედებანი ამხილონ, სულმდაბალი პირადი გრძნობები და ღირსებები, სიამოვნებით იყენებენ სიტყვას: „პედერასტ“. სინამდვილეში გეი, ერთგული, მგრძნობიარე არსებაა. ძალიან შორს ადამიანური მანკიერებისაგან. სოციალური ინფანტილიზმი, სიყრუე და სიბრმავე ამ

ორიგინალური ადამიანებისადმი სიძულვილი და ჭეშმარიტების არშეცნობა იწვევს ჩემში და ჩემს მეგობრებში ღრმა უკმაყოფილების განცდას. უსამართლობის განცდამ გვიბიძგა შეგვექმნა „ალტერნატიული კავშირი“. ამ გაერთიანების მიზანია, ინოვაციური იდეების გარშემო შემოვიკრიბოთ თანამოაზრენი, რათა განვახორციელოთ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების რეფორმები. ეს არის უკიდურესად აქტუალური ეროვნული თემა. შემოუერთდით ჩვენს რიგებს, არკადი ლვოვიჩ! გახდით ჩვენი მოძრაობის აქტიური წევრი. სხვათა შორის, მასში ბევრი ცნობილი ადამიანია გაერთიანებული. ბატონი მორენოვი ხელისუფლებიდან, ბატონი კრუგლოვი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, ჩუპრინი და რიაჟევი ფედერაციის საბჭოდან, გენერალური პროკურატურის წევრები, რამდენიმე გუბერნატორი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, სახელმწიფო დუმის დეპუტატები, ტელევიზიის პოპულარული წამყვანები, სამხედრო პირები. თქვენ ხომ გსურთ, გადაარჩინოთ სახელმწიფო სიცრუისა და ორპირობისგან? ორმაგი სტანდარტებისგან? ხომ გინდათ კომფორტულ ქვეყანაში ცხოვრება. სხვა ქვეყნის სახელმწიფოთა საზოგადოების მიერ აღიარებულში?

დულჩიკოვი - მინდა ვიცოდე, მე რა მევალება? რაზე ვაგებ პასუხს? მეთვალყურეობა თუ რა?

კუზიაკინი - თქვენ ხართ აუდიტორი. გუნდში აუცილებლად გვჭირდება ექსპერტი, რომელსაც შეუძლია არაოფიციალური გზით შეაფასოს ჩვენთვის საინტერესო სუბიექტის შემოსავალი. ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ადამიანებმა, რომლებიც დასეირნობდნენ კრემლის ლაბირინთებში, დაკარგეს მოქალაქეობრივი გრძნობები. ისინი არ იხდიან და არც აპირებენ გადაიხადონ თავიანთ შემოსავლებზე გადასახადი. მაგალითად, ფედერაციის საბჭოს ან ქვედა პალატის წევრთა უმრავლესობა. ისინი ცხოვრობენ, როგორც დასავლეთის მდიდრები ან აღმოსავლეთის მილიონერები. ვინ უმაგრებს მათ ზურგს? რამდენ ფულს ჭამენ? რა არის მათი ბიუჯეტის შევსების წყარო? ან ეს პოპ არტისტები, უნდა ვიცოდეთ, რა თანხას ითხოვენ კონცერტებისთვის, იხდიან თუ არა გადასახადებს? თუ ინაღდებენ მთელ შავ ფულს? სახელმწიფოს ეს არც აინტერესებს. ურჩევნიათ ჩაეხუტონ ხელოვანებს, გადაკოცნონ, ვითომ ლიბერალობენ. სწორედ ისინი არღვევენ კანონს, რომლებიც ყველაზე ხშირად ხმარობენ სიტყვას „პედერასტი“, დამამცირებელი, კრიმინალური მნიშვნელობით. ეს უსამართლობაა, რატომ უნდა დაამცირო კანონმორჩილი მოქალაქეები, ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები? თუ ამ გაგებით ამბობ, სიტყვა უნდა ჟღერდეს პატივისცემით, ჩვენ ხომ არ შეურაცხვყოფთ სიტყვებით: პოეტი, მუსიკოსი, შეყვარებული? გენერალო, თქვენ სამშობლოს სჭირდებით. მოდი, ერთად ვიბრძოლოთ! თქვენგან არავინ ითხოვს, თავადაც ისეთი

გახდეთ. გარწმუნებთ, ამისთვის საჭიროა მხოლოდ თქვენი საკუთარი გადაწყვეტილება და ჩვენ მას პატივს ვცემთ. თქვენ სიმპათიური მამაკაცი ხართ, დარწმუნებული ვარ მომავალში თავად გახდებით ჩვენიანი.

დულჩიკოვი - მე მზად ვარ... მზად ვარ დაგეხმაროთ. რატომ უნდა დავემალო სახელმწიფოებრივ საქმეს?სასარგებლო საქმე ჩაგიფიქრებიათ: რუსეთის კანონიერების განმტკიცევა, საგადასახადო დისციპლინის ახალ დონეზე ასვლა. გეთანხმებით, ჩვენი ბოჰემა არ ცხოვრობს დეკლარირებული საშუალებით. სიმდიდრეში ბანაობენ, ბიუჯეტში კი კაპიკები შეაქვთ. ვიფიქრებ. ეს სერიოზული საკითხია. ორ კვირაში შევხვდეთ.

კუზიაკინი - შევთანხმდით. მაშინ მე წავედი, დარწმუნებული ვარ, ჩვენიანი გახდებით. სულ მთლად ჩვენიანი.

დულჩიკოვი - კარგით, ნახვამდის.

სინათლე კვლავ ქრება და დულჩიკოვი რჩება ლამპიონის შუქზე.

დულჩიკოვი - მადლობა ღმერთს, არ დაიჟინა, თორემ... მომიწევდა მასთან დაწოლა. ასეთი საქმისთვის ან იქნებ ამაში რაღაც ისეთი არის? ჰა, მასთან ლუბას ნაცვლად. დუსკას ნაცვლად. რომელი დუსკა? რაზე ვსაუბრობ? რაღაც თავში ყველაფერი ამერია. ისე, სულაც არაა ცუდი, მათი მფარველობით პოლიტიკოსებისა და არტისტების შენჯღრევა. კრუგლოვი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, მორენოვი ხელისუფლებიდან, ჩუპრინი და რიაჟევი ფედერალური საბჭოდან - გავლენიანი პირები. ასე ბევრი ფულის მოხვეტა შეიძლება. მაგიდასაც გავაძლიერებ (სინაზით) ჩემი მაგიდა. სანტაპუკინი - მფარველი, მინისტრთა კაბინეტიდან. კუზიაკინი - თუ ეს გამოვა, ხელისუფლების უფრო ფართო დიაპაზონია. წარმატებული დღე გაქვს, ძვირფასო არკადი ლვოვიჩ! მარტო ლონდონში მდებარე სახლს კი არა, ნიცაში ვილასაც კი შეიძენ. და მერე ეს დეპარტამენტი თუნდაც ცეცხლის ლურჯმა ალმა შთანთქოს. (პაუზის შემდეგ) მხოლოდ ამის გარდა (ისევ სიყვარულით ხვევს მაგიდას ხელს) მაგრამ რატომ არა ჟასლუპინი? - მასზე რატომ არაფერი თქვა? ისიც ხომ მათთანაა... გამიგია, რომ მათთანაა. უნდა დაველაპარაკო ჟასლუპინს, ყველაფერი უნდა შევამოწმო, ავწონ-დავწონო. აქ აჩქარება არ ივარგებს.

სცენა ნაათდება. პირდაპირი ხაზით ლუბას ხმა.

ლუბა - ელენა დმიტრიევნა კურაკინი.

დულჩიკოვი - მშვენიერია, მოუთმენლად ველი.

და მიდის კურიაკინის შესახვედრად.

კურიაკინი - მინდა ჩაგეხუტოთ! საშობაო არდადეგები ახლოვდება, თქვენ კი, ძვირფასო არკადი ლვოვიჩ, მთელ დღეს სამსახურში ატარებთ. რა ხდება? სამყაროს მშვენიერებანი აღარ გაინტერესებთ? მოსკოვის საზოგადოებრივი ცხოვრების კულისებში ქალის ალერსში ჩაიხრჩვით? თქვენი მშვენიერი თაიგულიდან ვიღებ ერთ-ერთ ვარდს.

ქალბატონი კურიაკინა მოხდენილი მოძრაობით იღებს ვაზიდან ყვავილს, აცილებს ეკლებს და თავისი მუქ-მწვანე ჟაკეტის საღილეში ათავსებს.

კურიაკინა - მოგწონთ?

დულჩიკოვი - დიახ, მშვენიერია!

კურიაკინა - ვიცი, რომ თქვენ დიდი მოყვარული ხართ წითელი ღვინის. მე მოგიტანეთ ერთი ყუთი პიემონტის შესანიშნავი სასმელი. ნებას მისცემთ ჩემს პირად თანაშემწეს, ღვინო შემოიტანოს? ის მოსაცდელშია.

არკადი ლვოვიჩი დაუყოვნებლივ უკავშირდება მდივანს.

დულჩიკოვი - ლუბაშა, შეაცილე სასწრაფოდ ქალბატონი კურიაკინის თანაშემწე აპარტამენტში, უკანა კარით... შენც იქ წადი, მიკროტალღულ ღუმელში აზერბაიჯანული კერძები შეაცხელე. კურიაკინას ღვინიდან ორი ბოთლი გახსენი. ელენა დმიტრიევნა, თქვენ თავად სვამთ? დღეს მე განსაკუთრებული დღე მაქვს. გთხოვთ, სუფრასთან.

კურიაკინა - რა ხდება, ძვირფასო? კათოლიკურ შობას აღვნიშნავთ?

დულჩიკოვი - მსგავსი არაფერი. მე დიდად არ ვერკვევი ქრისტიანულ კალენდარში, მართლმადიდებლურია თუ კათოლიკური. მე დღეს ვზეიმობ... მე დღეს ვზეიმობ... მე ვზეიმობ დღეს ლამაზი ქალბატონის მობრძანებას. ჩემი გული ილხენს, სული მღერის, მინდა შევსვა იტალიური ღვინო.

კურიაკინა - სანამ დაგვიწყია მოლხენა, თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვა საქმის შესახებ. თქვენთან საშინელმა შემთხვევამ მომიყვანა. მე ვარ რუსეთის უძველესი სამთავრო ოჯახის, კურიაკინების წარმომადგენელი. ის კი არა და, ჩემმა ქმარმა ბელოსკოსტოვმა ის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწედ მსახურობს, ჩემი გვარი მიიღო. აქ თქვენ წინაშე მე წარმოვდგენ მოსკოვის სათავადაზნაურო ასამბლეას.

დულჩიკოვი - მე ყველაფერი ვიცი, წამობრძანდით, ჯობია დავლიოთ. მაგიდა უკვე გაშლილია. მინდა, შევსვა ერთი ბოკალი იტალიური ღვინო!

კურიაკინა - რა იცით?

დულჩიკოვი - თქვენ გინდათ მთხოვოთ ბაშმაკოვზე ხომ? დიდი სურვილი გაქვთ, ჩვენმა უწყებამ გახსნას მახინაციური სქემა, რომელიც სათავადაზნაურო ასამბლეის ოფისის გაქირავებას უკავშირდება, ხომ ასეა. გინდათ, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ნარიცინის წინააღმდეგ, მართალი ვარ?

კურიაკინა (მაშინვე არა, გაოგნებული) - დროა. სუფრასთან ვნახოთ, როგორ უმასპინძლდებიან დედაქალაქის გენერლები ქალბატონებს.

ამ დროს კაბინეტში შემოდის ლუბა და დულჩიკოვს ყურში ჩასჩურჩულებს.

ლუბა - დაჟინებით გკითხულობთ მახახორინი. უკვე მესამედ დარეკა. რა ვუპასუხო?

დულჩიკოვი - მე თავად ავიღებ ყურმილს. მოგესალმებით სემიონ სემიონოვიჩ. რაო, შემმოწმებელ კომისიას გიგზავნიან? ოცი კაცია? რას ამბობთ? მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. დახმარება გჭირდებათ? ტელეფონით ამას ვერ განვიხილავთ, შეხვედრაა საჭირო. ხვალ დილით, არა, შეუძლებელია. მე ბრიადჩიკოვისგან ჯერ არავითარი ინფორმაცია არ მიმიღია. ჯერ ერთი საქმე უნდა დასრულდეს, შემდეგ მეორეს მივხედო. რა თქვენ უკვე სივცევოი ბრაჟკაზე ხართ? კარგი, თუ ბრიდჩიკოვმა დამირეკა, ხვალ დაგელოდებით. თუ არა, სხვა დროს შევხვდეთ. ნუ ღელავთ, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ნებისმიერ საკითხის მოგვარება შეიძლება. რა თქმა უნდა, თავად უფალმა ბრძანა, მტკიცედ დაიცავ მაგიდა შენიო! ნახვამდის. (ჩუმად) სხვა დროს გეცოდინება შენი ადგილი.

კურიაკინა - დალევა მსურს!

კურიაკინა და დულჩიკოვი აპარტამენტს მიაშურებენ.

კურიაკინა - ახლა ჩემთვის ცხადია, რატომ ატარებთ სამსახურში ამდენ დროს. ბევრი სიკეთეა. ეს კი ძვირად ფასობს. აი, როგორ აგიციმციმდათ თვალები. როგორ დაგეცვარათ შუბლი. როგორი ღიმილი გაქვთ სახეზე. თქვენ რა, მომიმზადეთ მე საჩუქარი? ნარიცინი უკვე დამარცხებულია? ნაბიკ-ნაბიჯ უახლოვდება მატროსოვის ყრუ კამერას. თქვენ კი თავად გრაფი გახდებით... გრაფ დულჩიკოვი! ასეა, ხომ?

არკადი ლვოვიჩი წითელი ღვინით სავსე ბოკალს ზევით სწევს.

დულჩიკოვი - დავლიოთ, ქალბატონო! ვიცოდი, რომ თქვენ გრაფის ტიტულს შემომთავაზებდით. მინდა აღვნიშნო, რომ მე წინააღმდეგი სრულიადაც არა ვარ. დავლიოთ გრაფ დულჩიკოვის სადღეგრძელო.

კურიაკინა - გაუმარჯოს გრაფ დულჩიკოვს! დიახ, თქვენ. კეთილო ადამიანო, არკადი ლვოვიჩ! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ სთავადაზნაურო ასამბლეის წევრები ჯერ კიდევ არ არიან მდიდრები. ბევრი ხარჯი გვაქვს. ხან ერთი საქმეა მოსაგვარებელი, ხან მეორე. შეიძლება თუ არა ველოდოთ, რომ ჩვენი ახალშობილი გრაფი, ჩვენი დედაქალაქის ცნობილი გენერალი ჩვენს არისტოკრატიულ საზოგადოებას სპონსპორობას გაუწევს. ეს არ იქნება რაღაც უსასრულო ციფრები. ასე ოცი, ოცდახუთი ათასი დოლარი. როგორ უყურებთ ამას?

დულჩიკოვი - ჯობია მოვილხინოთ, ამ წვრილმანებით თავი რატომ უნდა შევიწუხოთ. მინდა დალევა, დღეს ჩემთვის დიადი დღეა.

აპარტამენტში სწრაფად შემოდის ლუბა. ის მიდის დულჩიკოვთან და ყურში ჩასჩურჩულებს.

ლუბა - ბრიდჩიკოვმა დარეკა. მთხოვა სასწრაფოდ გადმოგცეთ: ყველაფერი რიგზეა.

დულჩიკოვი - წადი, ლუბაშა, ჯერჯერობით მე ყველასთვის დაკავებული ვარ. მოიფიქრე, რაც გინდა. თათბირი, მივლინება, ხელმძღვანელთან მიღება. (ელენე კურიაკინს) მიირთვით, ქალბატონო, ისიამოვნეთ აღმოსავლური სამზარეულოთი. მე მხოლოდ თქვენთვის, სრულიად თქვენთვის ვარ თავისუფალი. რთული დღე მქონდა, მაგრამ წარმატებული! მისი კულმინაცია კი თქვენი მობრძანება იყო. ვაშა, ელენა დმიტრიევნა, შესანიშნავია, „ბაროლო“ სახელმწიფო ავტოინსპექციისგან. მუქი ლალისფერი - ჩემი თავისუფალი დროის საყვარელი ფერია. რაც შეეხება მოცხარის მსუბუქ გემოს, ყურძნის არომატთან გაზავებულს და ტანინის რბილ შეგრძნებას, რაც ჰარმონიულ გემოს ტოვებს, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. გმადლობთ, ქალბატონო! თქვენ მე ძვირფასი ღვინო მომიძღვენით. კიდევ რამდენიმე ჭიქა და ჩემი სული მადლით აღივსება.

კურიაკინა - არკადი ლვოვიჩ, ნება მიბოძეთ, ჩემს საქმეზე გაგესაუბროთ. თქვენთნ მოხვედრა განა ასე ადვილია. ამიტომ, გთხოვთ, მომისმინოთ.

დულჩიკოვი - გიმეორებთ: ჩემთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა გარემოებებმა მოგიყვანათ ჩემთან ოფისში. თქვენ გინდათ ჩავსვათ ნარიცინი გისოსებს მიღმა, რათა სათავადაზნაურო ასამბლეა ხელშეუხებელი გახდეს. შემდეგ კი ბატონი ბაშმაკოვი ავირჩიოთ მის ხელმძღვანელად. ჰო, რა თქმა უნდა, სხვათა შორის თქვენი გრაფის

ტიტული 25 000 დოლარად მე სრულიადაც არ მჭირდება. სადა აქვს ასეთი თანხა მოკრძალებულ ჩინოვნიკს? მე ის ას დოლარადაც კი არ მჭირდება. წარმოგიდგენიათ - გრაფი! მე ვარ სახელმწიფო მრჩეველი, გენერალი და არ ვვაჭრობ ჩემი წოდებით.

კურიაკინა - ნება მომეცით, გადაგარწმუნოთ. ბევრია ისეთი, ვინც ტიტულისთვის ორმოცდაათიათას დოლარსაც არ დაიშურებს. ის კი არა და, ერთი ქალბატონი იყო, ვისმა სპონსორმაც ასი ათასი დოლარი შემოგვთავაზა. რითაა ცუდი თუ სათავადაზნაურო ასამბლეა თქვენ ასეთ ფასდაკლებას გთავაზობთ. მრავალი ჩინოვნიკი სრულ ღირებულებას იხდის. ცოტა ხნის წინ მინისტრის მოადგილე დრაზგინს და მოსკოვის მერს - შაპკინს სვეტებიან დარბაზში გადასცეს წოდებები. მერწმუნეთ, ბევრი ელის თავის რიგს.

დულჩიკოვი - გენერლებს საეჭვო სპონსორობა არაფერში სჭირდებათ. მე გთხოვეთ, დავანებოთ ამ თემას თავი. ელენა დმიტრიევნა, თქვენ ცოტას სვამთ, მთელი გულით გაიზიარეთ ჩემი მოკრძალებული დღესასწაული. ღვინო გაგანთავისუფლებთ თქვენ ცრურწმენებისგან და გაჩვენებთ სწორ გზას. იჩქარეთ, ასწიეთ ბოკალი ზევით! ვსვამთ რუსეთის ხელისუფლების ტრიუმფის სადღეგრძელოს!

კურიაკინა - სასმელში ცუდი თანამეინახე ვარ, ჩემი წასვლის დროც დადგა. როგორც მე გავიგე, ჩემს თხოვნას შეასრულებთ?

დულჩიკოვი - თუ ლამაზი ქალი მთხოვს, მე მუდამ მზად ვარ ვემსახურო.

კურიაკინა - მაშინ მე წავედი. ვიმედოვნებ, პიემონის ღვინომ სიამოვნება მოგანიჭათ.

დულჩიკოვი - ნახვამდის. აქედან გაბრძანდით (კურიაკინას გასვლის შემდეგ) რა თხოვნის შესრულება, ნარიცინს ციხეში უკარი თავიო, თან ოცდახუთიათასი დოლარიც გადაიხადეო. ცალტვინა!

ბოლოს მაგიდის უფროსი რჩება მარტო. ის ჩააქრობს ძლიერ შუქს, ისხამს ღვინოს, სვამს, ისევ ივსებს ჭიქას, მოკბეჩს გაციებული მწვადის პატარა ნაჭერს, დააყოლებს რაღაც აღმოსავლურ მწვანილს, თვალები ელულება და ბოლოს მთლიანად ეხუჭება. ხუმრობა საქმეა, დალიო სამასი გრამი არაყი და ბოთლი „ბაროლო“ გენერალური ავტოინსპექციისგან - თოთხმეტგრადუსიანი ღვინო.

მიტკა კონდრიუშკინს შემოაქვს გენერლის ოთახში სქელი მუშტის ხელა თოკი, ერთ ბოლოს გამოაბამს გამათბობელ ბატარეას, მეორეს ახვევს და ფანჯრის რაფასთან დებს. შემდეგ ჭერზე დაამაგრებს ჯალამბარს, მეორე ბოლოს კი დატოვებს მაგიდაზე. ბატონი კონდრიუშკინი მუშაობს ჩუმად, საქმის ცოდნით და კარგი განწყობით. შემდეგ მიტკას ამოაქვს ჩანთიდან მომცრო ბოთლი, ასხამს იქიდან იატაკზე კაბინეტის კუთხიდან თითქმის კარებამდე, რაღაც სითხეს, ალბათ ნავთს, იღებს ასანთს და

ანთებულს სველი ადგილისკენ ისვრის. კონდრიუშკინი ცნობისმოყვარედ აკვირდება, როგორ აბრიალდა ცეცხლი კუთხეში. როცა კაბინეტს ბოლი დაფარავს, ის ჯიბიდან იღებს რამდენიმე ფურცელს და ქაღალდებს ცეცხლში მოისვრის, შემდეგ სწრაფად მიდის გასასვლელისკენ.

მიტკა (გამოსვლისას) - თოკისა და ნავთის ქვითარი, ვის რაში სჭირდება ახლა ამის ანგარიში?

არკადი ლვოვიჩი აპარატამენტში იგრძნობს მძაფრ სუნს.

დულჩიკოვი - ნუთუ ეს მიტკამ გაუშვა წითელი მამალი? მაშინ სასწრაფოდ მოქმედებაა საჭირო. მაგიდა უნდა გადავარჩინო. ვინ ვარ მე მაგიდის გარეშე. შეუძლებელია.

არკადი ლვოვიჩი შერბის თავის კაბინეტში. დაწესებულების ნაწილი უკვე ცეცხლსა და ბოლშია გახვეული. სწორედ აქ მაგიდის უფროსს ნამდვილად შეეშინდება. ის მიიჭრება მაგიდასთან, ჯალამბარის დახმარებით სწრაფად ასწევს ფანჯრის რაფამდე და უეცრად მასში დუსკას შეიცნობს.

დულჩიკოვი - დუსკა!

კაბინეტში შემორბის ლუბა.

ლუბა - ვიწვით, ლვოვიჩ! (დაინახავს თუ რა ხდება კაბინეტში, ისტერიულად იკივლებს) ვაიმე, ვაიმე, დედა!

დულჩიკოვი - შენთვის არ მცალია, ლუბა, თავს უშველე!

ლუბა გამორბის კაბინეტიდან და ყვირილს განაგრძობს.

დუსკა - როგორც იქნა გავაგდე, უნამუსო ქალი, თავი მომაბეზრა უკვე კაი ხანია.

დულჩიკოვი - დიახ, მე მასზე...

დუსკა - ამაზე მერე ვისაუბროთ,. ახლა რა ვქნათ?

არკადი ლვოვიჩი შეყვარებულის გატაცებით კოცნის დუსკას.

დულჩიკოვი - დუსკა, დუსკა, არ მივცემ ცეცხლს შენი ფეხების დაწვის უფლებას! შენ მთლიანად მე მეკუთვნი. ან ერთად დავიწვებით, ან ერად გადავრჩებით.

დუსკა - დაწვა არ გაბედო! ყველაფერი თავად წამოიწყე, თვითონვე უნდა მონახო გამოსავალი.

გენერალი სწრაფად აღებს ფანჯარას მაროსეისკისკენ, წევს მაგიდას რაფაზე, მასზე დებს თავის ტყავის სავარძელს, ადის მასზე, ბაგირს სწევს და უნდა დაიწყოს დაშვება. იქვე შეამჩნევს, რომ მეზობელ აივანზე უმცროსი კლეშივცევი მაიორის მუნდირში გამოწყობილი ხელს უქნევს.

კლეშივცევი - გადარჩენისთვის ასიათას დოლარს ვითხოვ! გადამიხადე ან ნაღდი ფულით, ან დაიწვი საშინელი სამსჯავროს ცეცხლში.

დულჩიკოვი - რისთვის? მე ხომ შენ მაიორად გაქციე.

კლეშივცევი - წარსული და მომავალი არ ითვლება. გადაიხადე მწვანე დოლარებით. მე დღეს მინდა ცხოვრება. პოლიტიკაში მინდა წასვლა. მინდა კარიერა სწრაფად ავიწყო. ხვალინდელი დღე? მომავალი? მოლოდინით თქვენ ცხოვრობთ, სულელები.

ამ დროს დულჩიკოვი ამჩნევს, რომ ცეცხლი ბაგირს სწვდება.

დუსკა - სასწრაფოდ გადაიხადე!

დულჩიკოვი ფრთხილად ჩამოცოცდება სავარძლიდან მაგიდაზე. ხსნის უჯრას, იქიდან იღებს ასი ათას დოლარს და აივანზე კლეშივცევს სახეში ესვრის.

დულჩიკოვი - მიდი, სწრაფად ჩაგვიშვი. ცეცხლი უკვე ცხვირამდეა!

ახალგაზრდა იძლევა რაღაც საიდუმლო ნიშანს ხელით და ჯადოსნური ძალა ტროატუარისკენ უშვებს მაგიდას. სავრძელს და დულჩიკოვს მგრძნობიარე მზრუნველობით, ვიპ-სერვისის მომსახურებით. გენერალს ეჩვენება კიდეც, რომ ის ეშვება არა მაგიდით, არამედ დუსკასთან ჩახუტებული და არა მარტო ჩახუტებული, არამედ ყოვლად წარმოუდგენელ პოზაში. თითქოს მისი ბაგეები ეხება სხეულს და ეს ესაა, განიცდის ორგაზმს.

ის ნელა, შეიძლება ითქვას ზანტად, ჩამოდის მაგიდიდან, დგამს სავარძელს და იწყებს თავის საქმიანობას. ბევრი, ვინც დარეგისტრირდა მასთან შეხვედრაზე, რიგში დგას, როგორც ჩანს მთელი მაროსეისკა აივსო უკვე ხალხით, რომლებიც მაგიდის

უფროსის, დულჩიკოვისკენ მიისწრაფვიან. მთხოვნელებს დაძაბული სახე აქვთ. ერთს უჭირავს ჩანთა, მეორეს პორტფელი, ვიღაცას - ყუთი, პაკეტი, ზარდახშა, ჩემოდანი, ტომარა, მაგრამ იქ მოულოდნელი რამ ხდება: ჩინოვნიკთან მიღებაზე მოსულა ცნობილი სახე ფედერალური საბჭოდან. მის კვალდაკვალ გამოჩნდნენ მუშები სპეცტანსაცმლით წარწერით „მერსტროი“, ისინი დულჩიკოვს და სენატორს გამოყოფონ მძიმე მაუდის ნაჭრის შირმით.

დუჩკოვი - რით შემიძლია გემსახუროთ, სენატორო? გულისყურით გისმენთ.

სენატორი - მომეცით ნებართვა, ძველ მოედანზე გავხსნა თაგვებისა და სხვა მღრღნელების მაღაზია. ეს ბიზნესი ძალიან აქტუალურია მომავალი არჩევნების მოახლოებისას.

დულჩიკოვი - მაპატიეთ, კარგად ვერ გაგიგეთ, რა კავშირი აქვს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენას და ამ ყოველივე საზიზღრობას?

სენატორი - გენერალო, თუ ყოფილხართ ზოომაღაზიაში?

დულჩუკოვი - ერთხელ, ოდესღაც და რა მერე?

სენატორი - ელიტარული მტაცებლები იკვებებიან მღრღნელებით, ჩვენს დედაქალაქში კი ისინი მრავლადაა. ისინი თავისუფლად დასეირნობენ ჩვენს ტროტუარებზე, ნახეთ რამდენი მათგანია ჩვენს ქუჩაზე. შეიძლება შესანიშნავი ბიზნესის აწყობა. ჩემი გუნდი იჭერს ვირთხებს, თქვენი - მიჰყიდის მას პრაგმატოვს.

დულჩიკოვი - ვინაა ის, პრაგმატოვი?

სენატორი - საარჩევნო ტექნოლოგიების მენეჯერი, ის ასევე გველებისა და მტაცებელ-ფრინველების მწვრთნელიცაა. მოგეხსენებათ, ნებისმიერი არჩევნების წარმართვისას გველები და არწივებია საჭირო, რა თქმა უნდა, ტურებიც. დამეთანხმეთ, მეგობარო, არკადი ლვოვიჩ, დაიმსახურეთ კიდევ ერთი ვარსკვლავი.

დულჩიკოვი - ვის რაში სჭირდება თქვენი ვარსკვლავი. ჩვენ სულ სხვა ღირებულებებზე ვნადირობთ.

სენატორი - რამე თქვით?

დულჩიკოვი - არა, არა, მოგესმათ. მე ვფიქრობ თქვენს მიმზიდველ შემოთავაზებაზე.

როგორც კი ცნობილი სახე ფედერალური საბჭოდან ემშვიდობება ბატონ დულჩიკოვს, სქელი ქსოვილის უკან ქრება და არკადი ლვოვიჩი ხედავს, რომ მთხოვნელები უკვე აღარ არიან და მთელი მაროსეისკი გადაჭედილია სახანძრო მანქანებით. ერთ-ერთიდან გამოჩნდება კლეშივცევ უმცროსი მაიორის ფორმაში და კლეშივცევ უფროსი - გენერლის.

კლდეშივცევ უმცროსი - აკი, პოლკოვნიკობას დამპირდა.

კლდეშივცევ უფროსი - ესე იგი, მოგატყუა, შენ კი არკადი ლვოვიჩ, ამას არ გაპატიებ.

და მიუშვებს ძლიერ ჭავლს დულჩიკოვს პირდაპირ სახეში. ჭავლი დულჩიკოვს მაგიდიდან მოისვრის, რომელსაც ის მთელი ძალით ეჭიდება.

დულჩიკოვი - ااا, არ დაგითმობთ!

ჩაბნელდება

ისევ დულჩიკოვის კაბინეტი. ლუბა ყოველ წუთს პასუხობს ტელეფონის ზარებს.

ლუბა - (სხვადასხვა ყურმილში) - კრემლშია, მივლინებაშია, თათბირზეა, როდის დასრულდება? ალბათ ერთ საათში.

ლუბა შეიხედავს დასასვენებელ აპარტამენტში, სადაც დულჩიკოვს მოუსვენრად, მშფოთვარედ სძინავს.

ლუბა - გადააჭარბე, ლვოვიჩ, განა რამდენ ხანს არ ვიყავი? მინიმუმ ორი საათი.

ისევ სატელეფონო ზარი. ისმის აბონენტის შეკითხვა:

როდის დამთავრდება თათბირი? ორ საათში დასრულდება.

ისევ ზარი და იგივე შეკითხვა - ორ საათში, ისევ ზარი და პოპიშევა გულში ამბობს:

ეშმაკმა იცის, ეს ყველაფერი როდის დასრულდება!

ის ახეთქებს ყურმილს. ტელეფონები განაგრძობენ რეკვას.